

# დემოკრატიული საქართველო

  
**La Géorgie**  
 Indépendante  
 Revue mensuelle  
 OCTOBRE  
 1929—№ 46

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ო .

### შ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—ინგლისი და საბჭოები.  
 ა. შულცინი—უკრაინის საკითხი.  
 —ლი—გ—საქართველო ციფრებით.  
 ი—იშვიათი სკანდალი.  
 ე. პოლ გრაბერი—«ტაბუ, კომუნისტ ბარბიუსს.

უცხოეთის მიმოხილვა.  
 რას სწერენ ბოლშევიკებზე.  
 ია—საბჭოთა საქართველოში.  
 საქართველოს საკითხი.  
 საქართვე. დამოუკ. დღესას. ხარბინში და სხვ.

### ი ნ გ ლ ი ს ი დ ა ს ა ბ ზ ო ე მ ი

ტრავაისტებმა რევანში აიღეს კონსერვატორებზე! მათ ისევ გააბეს ძაფი მოსკოვთან, რის გულისათვის პირველხელ სასტიკათ დამარცხდნენ.

1924 წ., როგორც ვახსოვს, ცნობის გარდა, მაკდონალდმა ხელიც მოაწერა პირობაზე, რომლის ერთ-ერთი მუხლი მკირე კრედიტს გულისხმობდა მოსკოვისთვის, ინგლისის მთავრობის გარანტიის ქვეშ. ამან ძლიერ ააღელვა საზოგადო აზრი და იმავე წლის ოქტომბრის არჩევნებზე კონსერვატორებმა სამავალითო გაიმარჯვეს. ბოლშევიკმა და მისმა საგარეო მინისტრმა ჩემბერლენმა დასკვნაც გააკეთეს ცოტა მოგვიანებით: 1927 წ. ჯერ გააჩხრკინეს საბჭოთა «არკოსი», შემდეგ სულაც კი გასწყვიტეს დიპლომატიური დამოკიდებულება მოსკოვთან.

ამა წლის მაისის არჩევნებზე მუშათა პარტიის პლატფორმა, სხვათა შორის, ამ დამოკიდებულების აღდგენას მოითხოვდა. გათავდა არჩევნები, ხელისუფლება ისევ მუშათა ლიდერებზე გადავიდა და დაპირებული ასრულება არსაიდან სჩანდა. მართალია, ახალ საგარეო მინისტრს ჰენდერსონს ჰქონდა მოლაპარაკება მოსკოვის კაცთან, ხოლო უშედეგო, და ყველას ეგონა, რომ მაკდონალდის კაბინეტი არ განიმეორებდა წინანდელ შეცდომას.

მაგრამ გარემოებანი უფრო ძლიერია, ვინემ პიროვნებანი. შეიკრიბა ბრაიტონში მუშათა პარტიის წლიური ყრილობა და მთავრობა იძულებულია ან ჰქონდეს უარი სთქვას: სტეხს თუ არა პარტიის სიტყვას. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ჰენდერსონი ყენვიდან ლონდონს მიეშურება, იწვევს სასწრაფოთ მოსკოვის წარმომადგენელს და იწყებს მასთან მასლაათს, რაიცა შეთანხმებით თავდება. ჰენდერსონი აუწყებს ამ ახალ ამბავს ბრიტანიის ყრილობას და იწვევს დელეგატების მხურვალე მოწონებას. იგივე დელეგატები ცივთ ხვდებიან, სამაგიეროთ, მეორე მი-

ნისტრს თომასს, რომელსაც დაკისრებული აქვს უმუშევრობასთან ბრძოლა.

აი, თუ გნებავთ, კლიტე, ამოცანის გასაღები! მოსკოვთან გაწყვეტის შემდეგ—ამბობდნენ დელეგატები—საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა ამერიკა-გერმანიაზე გადავიდა, ეს იწვევს წარმოების შემცირებას ჩვენში და მუშათა ახალ რიგებს ქუჩაზედ ერეკებიანო. მოდიოდა უმტკიცეთ მათ, რომ საბჭოებთან ვაჭრობა, კიდევ ნორმალურ დამოკიდებულების დროს, დიდი ბრიტანიის სააღმზრდელო ბალანსის ერთ პროცენტსაც არ შეადგენდა... ამაოთ! პარტიათა შეჯიბრების დროს ასეთი არგუმენტი არა სჭრის. საკმაო დასახელოთ საბჭოთა კავშირის ვება სივრცე, მცხოვრებთა რაოდენობა, ბუნებრივი სიმდიდრენი, რომ სტატისტიკა დაადუშოთ, ნერწყვი მოკვაროთ... არა მარტო მუშა მსმენელს.

მოსკოვმა სწორათ აულო ალლო ამ სულისკვეთებას, ერთხელ მტერსაც მიუზლოთ თავისი. არ გასულიყო ორი კვირაც არჩევნებიდან და მან კი მორთო ყვირილი; მაკდონალდი ატყუებს მუშებს, ლალატობს თავის სიტყვასო. და როცა ივლისის მოლაპარაკება ჩაიფუშა, მოსკოვმა არ დააყოვნა, რა თქმაუნდა, პასუხისმგებლობა ინგლისის მთავრობისთვის მოეხვია თავზე.

ჩაიფუშა კი იმიტომ, რომ მოსკოვი «პროცედურით» ზღუდავდა მოლაპარაკებას, ე. ი. ჯერ ელჩები დავნიზნოთ და მერმე საღო კითხვებზე ვილაპარაკოთო. ლონდონი, პირიქით, წინაუქმო აყენებდა ამ ორ მომენტს, მას სურდა, ყოველ შემთხვევაში, წინასწარი გარანტიის მიღება ვალებისა და პროპაგანდის შესახებ.

ამბობენ, ჰენდერსონმა დაიხია, დასთმოვო, ლიტივინოვიც კვერს უკრავს კონსერვატიულ პრესას. არც ასეა საქმე. გამოქვეყნებულ შეთანხმების ერთი

მუხლი პირდაპირ მოითხოვს, რომ ელჩების მიერ რწმუნების ბარათის წარდგენის უმალ მოსკოვი ხელს იღებს პრაგმატიკულად, თანახმათ 1924 წ. დაწერილ და შემდეგ კონსერვატორების მიერ უარყოფილ ხელშეკრულებისა. არის, მართალია, მეორე მუხლიც ამ შეთანხმებაში, რომელიც ნებას აძლევს მოსკოვს წამოაყენოს თავისი კონტრ-პრეტენზიები ინტერვენციით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ; მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს უბრალო დემაგოგიაა, თორემ აბა რომელი ევროპული მთავრობა დასთანხმდება ვალების ამ რიგათ ვაბათილებას.

გარდა ამისა, შეთანხმებაში ნათქვამია, რომ იგი ძალაში შევა, თუ თემთა პალატამ მოაწონაო. რას იტყვის უკანასკნელი? არ გვინდა წინასწარმეტყველება, თუმცა უდაოა, რომ მთავრობა მოისმენს ოპოზიციისაგან ბევრ მწარე სიტყვას, ხოლო მარტო ამისათვის არ დასცემენ მას, მით უფრო, ლიბერალებიც შეპირებული არიან ამრჩევლების მიმართ, რომ ალაღვენენ მოსკოვთან დამოკიდებულებას, მაშასადამე, მხარს დაუჭერენ მთავრობას.

ესეც არ იყოს, იმ დროს, როცა მაკდონალდი უთანხმდება ჰუფერს ვაშინგტონში დასასწავლა კონფერენცია უკვე მოწვეულია, დაუჯერებელი იქნებოდა მისი კაბინეტის დაცემა, სანამ ეს საქმე არ დამთავრდება.

მაშასადამე, ჩვენ ვდგევართ მნიშვნელოვან ნაბიჯის წინაშე: ინგლისი ალბათ აღადგენს ნორმალურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან და გასცვის მის მასთან ელჩებს. რა შედეგი უნდა მოჰყვას ამას, როგორია პერსპექტივი ამ მხრივ? სრულიად უიმედო—ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვუპასუხოთ.

რომ დარწმუნდეთ ამაში, საკმარისია შეადაროთ 1924 წელი 1929 წელს, რა დიდი განსხვავებაა მათ შორის! 1924 წ. მაკდონალდმა პირველმა გახსნა რუსეთის კვანძი, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ბევრს, და კიდევ ამიტომ ამ გზასვე გაჰყვნენ იტალია და საფრანგეთი, გერმანია, მათზე აღრე ჰყავდა მოსკოვი ნაცნობი. ამ რიგათ, ევროპის ოთხივე დიდი სახელმწიფო ფართთ უღებენ კარს მეხუთე დიდ სახელმწიფოს, შეჰყავთ ის საერთაშორისო ოჯახში იმ იმედით, რომ «მორჯულება» და ევოლუციური გზით ნორმალურ კალაპოტში ჩადგებაო. ეს იყო ხანა საბჭოთა კავშირის პრესტიჟის აწევისა, ხანა დიდი ცდუნებისა. და ნიადაგიც თითქო არსებობდა ამისათვის: საბჭოთა კავშირში ჯერ ისევ ნები ბატონობდა, ხალხი რამდენათმე აიწია ევროპიურათ, წარმოებას და ვაჭრობას წარმატება დაეტყო... არ იყო ამიტომ გასაკვირი, თუ ფირებდნენ. ეკონომიურ წინსვლას პოლიტიკის შეცვლაც მოჰყვებოდა.

მართალია, იმავე წელს აჯანყებამ იფეთქა საქართველოში და სტალინმაც არ დააყოვნა გაფრთხილება თავისიანები, რომ გლეხი საფრთხეს გვიმზადებსო. მაგრამ ეს გარემოება ერთგვარი მუჯღუფუნიც კი იყო კრემლისათვის, რათა უფრო მტკიცეთ გაჰყოლოდა ალბერტ ვენს. ამ დროს ჩადება განსაკუთრებით მემორანდუმე ოპოზიციასთან ბრძოლა ნეპზე და გლეხზე ვალაშქრებისათვის.

რას ვხედავთ დღეს? ჩარხი უკუღმა ტრიალებს,

წინსვლის მაგიერ უკან მიდის, ევოლუციის მაგიერ გამოსავალ წერტილს ებჯინებიან—სამხედრო კომუნისტს. ნები უკვე ვაჭკრა რათა ხანია, მთელი სახელმწიფო და პარტიული მექანიზმი მარცხნით არის გადახრილი. ხდება «სოციალიზაცია» არა მარტო მრეწველობისა და ვაჭრობისა, არამედ სასოფლო მეურნეობისაც, მძინვარებს ხუთწლიანი გეგმა მთელი თავისი დამდუპველი შედეგებით. რეჟიმი სასტიკ კონფლიქტშია გლეხობასთან, მცხოვრებთა 80 პროცენტთან. ქალაქები შიმშილობს, შიშველია, უწიგნაკოთ არაფრის შეძენა არ შეიძლება, სულაც არა აქვთ წიგნაკები იმათ, ვინც «პროლეტარულ» შთამომავლობის არაა, განწირული არიან. სოფლებს კალიასავით მოდებიან ხელისუფლების აგენტები და ართმევენ თითქმის მუქათათ ხორბლეულობას, არ უტოვებენ გამოსაძღომსაც (30 გირვანქა თვეში სუღზე!)

გაცილებით უარესია მდგომარეობა ჩაგრულ ერებისა, მათ მიმართ ხელისუფლება ნამდვილი მძარცველია. აიღეთ საქართველო. ჩვენი გლეხობა, დიდი ხნიდან კერძო მესაკუთრე, სოციალისტურათ უნდა გარდიქმნას, მოსკოვის ბრძანებით! და ეს არა სიტყვით, არამედ საქმით: უნგრევენ მეურნეობას, საკუთარ კერას და ძალათ შეჰყავთ «კოლექტივურ» მეურნეობაში. რა უნდა გამოვიდეს აქედან, ადვილი გამოსაცნობია: საყოველთაო ვალატაკება და გადაგვარება, თუ არა და სასტიკი შებრძოლება, რადგან ჩვენი გლეხობა ვერ შეურიგდება ამ ავანაჯობას. კომუნისტური პრესა სავესა ცნობებით გლეხების წინამდევლობის და ხელისუფლების რეპრესიების შესახებ, ყოველი მშრომელი და მუყიათი გლეხი «კულდაც» და აქედან კანონ გარეშე არის გამოცხადებული. ასეთი საშინელი დღე ჯერ არ დასდგომია საქართველოს, თუ გინდ იმავე კომუნისტურ ხანაში, ერი განსაცდელშია.

არ შეეჩერდებით რეჟიმის პოლიტიკურ მხარეზე, არა ერთხელ დაგვიხასიათებია იგი. სტალინის დიქტატურა განუსაზღვრელია, გეპუე მის ხელთა და სხვა ორგანოები მხოლოდ ნომინალურათ არსებობენ. ერთის შეხედვით, თითქო შეშლილთან გვაქვს საქმე, გადარეულთან! რადგან დიდი უკუა არ უნდა იყოს საჭირო მიმხვდარიყო, რა მოვლის, პირადათ მას ასეთი პოლიტიკით. ერთმა უცხოელმა განაცხადა ამას წინათ: ვისაც სურს ჯოჯოხეთის კიდევ სიცოცხლეში ხილვა, საბჭოთა საბრძანებელში წავიდესო.

მაშასადამე, ამ მოკლე შედარებას გვაჩვენა, რომ მაკდონალდის კაბინეტი იმეორებს თავის შეცდომას გაცილებით უარეს პირობებში და მით, უდაოა, შედეგებიც უარესი იქნება, ვინემ პირველათ. იმდენათ დაეცა ძველი რუსეთი უცხოეთის თვალში. იმდენათ არ უწევენ ანგარიშს მის გაუბედურებულ მცხოვრებთა საარსებო ინტერესებს. რომ არ ერიდებიან იცნონ პირწავარდნილი დიქტატურა, რომელიც შეგნებულათ ანგრევენ ხალხის კეთილდღეობას და ხრწნის მას მორალურათ. მაგრამ ინგლისი ხომ თავის როლია, სულ ერთია, ვინც უნდა იდგეს მის სათავეში, კონსერვატორები თუ ტრავისტები: ისე საფუძვლი-



ანათ უნდა დაასუსტოს რუსეთი, რომ ვერ ავნოს მას მთელი საუკუნე. ამის მაგალითს უკვე ვხედავთ მანჯურიაში, საიდანაც გამოაძევეს რუსეთი და მისი ბატონები კი ქალაქის გველეშაბით ლამობენ ჩინეთის ალაგმვას.

მაგრამ დადებითი მხარეც აქვს საბჭოების ცნობას: როცა დაინახვენ ინგლისის მუშები, რომ ამ აქტივაცია არაფერი გამოდის და უმუშევრობას ვერ შეანელებს გალატაკებულ ქვეყანასთან აღებ-მიცემობა, მაშინ დადგება ეამი მათი იმედების გაცრუებისა. უნდა ითქვას, მუშათა პარტიის ლიდერები თავისუფალი არიან ილუზიებისაგან, მათზე უფრო მოსისხლე მტერი კომუნისტებს არც კი ჰყავთ, ინგლისში კიდევ წესი აუგეს მათ... ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, არ გაივლის დიდი დრო, როცა მასებშიც ისევე მტრულად გაიმსჭვალებიან საბჭოების მიმართ, როგორც ლიდერები, და მაშინ ტრავისტიები გაცილებით უფრო საშიში გახდებიან მოსკოვის დიქტატურისთვის, ვინემ კონსერვატორები.

საიდან გამოგვყავს ეს დასკვნა? იქიდან, რომ მოლაპარაკება, რომელიც უნდა გაიმართოს ჩქარა მომავალში, უნაყოფოთ ჩაივლის. მაგალითი თვალწინა გვაქვს: საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკება. მოსკოვი არ იცნობს, და სულელიც იქნებოდა ეცნო ცარიზმის ვალები, თუ სამაგიეროდ გრძელვადიან სესხს არ მიიღებს. გახსოვთ მათი ფორმულა: მომეცი თ სესხი და აქედან ერთ წილს ვალების დასაფარავათ დავიტოვებო! რომელი უკუთმყოფელი ფინანსისტი წავა ამაზე? სპეკულიანტებზე არ ვლაპარაკობთ, მათ ხომ ფულიც არა აქვთ. მაკდონალდი მეორეჯელ არ მისცემს, რა თქმა უნდა, მთავრობის გარანტიას, 1924 წლის გაკვეთილი არ დავიწყნია.

რაც შეეხება პროპაგანდას, ეს საკითხი არა სდგას დღეს ისე მწვავეთ, როგორც ოდესმე. თუ წინეთ მოსკოვი ეპატივებოდა მუშათა ეგრედ წოდებულ დელეგაციებს—მოდით გვნახეთო და ამისათვის დიდ ხარჯსა სწევდა, ესლა თვით ევროპის კაპიტალისტე-

ბი სთხოვენ მუშებს მიბრძანდით «აღთქმულ ქვეყანაში» და ხარჯებს ჩვენ ვიღებთ თავზეო. ორმა მემალარო მუშამ ისარგებლა ამ წინადადებით, მოიარეს საბჭოთა კავშირი და ინგლისში დაბრუნებისას ისეთი ამბები უამბეს ამხანაგებს, რომ უკანასკნელთ თმა ყალბზე აუღიათ. კომუნისტური პარტიები ყველგან ევროპაში უბრალო-სისხლის სამართლის ბანდებად იქცენ, თავისი არაფერი გააჩნიათ, ასრულებენ მოსკოვის დავალებებს, რომელიც შესდგება სამხედრო ძალების დაწვევაში, ჯამუშოებაში, საიდუმლო საბუთების ამოპარვაში... ხდება, როგორც მთელს კავშირში, პარტიების დაუსრულებელი წმენდა პატიოხან ელემენტებისგან, რომელიც არ სურთ მოსკოვის იარაღად გახდომა,—ამ მიზეზით წევრთა რიცხვი პროგრესიულად კლებულობს...

მაშასადამე, იდეურად კომუნისტში კარგი ხანია გაკოტრდა, მისი არავის ეშინია და არც დიდ ანგარიშს უწევს. სულ სხვაა მოსკოვის აგენტების სისხლის სამართლის მოქმედებანი, დანაშაულნი, ამას ყველგან სასტიკათ ებრძვიან და ინგლისი ხომ სხვას არ ჩამორჩება ამ მხრივ. რამდენიც არ მოაწეროს პირობას ხელი, მაკდონალდმა კარგათ იცის, რომ მოსკოვი არ მოიშლის თავის «მაიმუნურ ოინებს».

ბესედოვსკის დიდი სკანდალის შემდეგ პარიზში, ესლა ბრმასაც უნდა აეხილოს თვალი. მოსკოვის დიპლომატიურ და საეაქრო მისიებში ჩეკისტები გამხდარან ნამდვილი ბატონ-პატრონები; სარგებლობენ რა ტერიტორიალურ ხელუხლებლობით, ისინი სჩადიან დაუჯერებელ დანაშაულთ, ბესედოვსკი ხელიდან გაუსხლტათ, მაგრამ რამდენი სხვა იქცა მათი მსხვერპლი!

ესადია, ტრავისტიების ქესტი ვერ მოახდენ ადრინდელ შთაბეჭდილებას, ის ვერ უშველის განწირულ რეჟიმს. პირიქით, ევროპა ირახმება, ჰქრება საკონფლიქტო საგნები მის შუაგულ და არაა შორს ის დრო, როცა მოსკოვის წინ დაისმის საბედისწერო კითხვა: ან კაპიტულაცია, ან უფსკრული.

### უკრაინის საკითხი

#### 3. ეკონომიური ცხოვრება.

უკრაინა გეოგრაფიულად და ეკონომიურად დამოუკიდებელი ქვეყანაა. მის ტერიტორიას უკავია იმ მდინარეების აუზები, რომლებიც შედიან შავ ზღვაში, და უკანასკნელთან იგი დაკავშირებულია ინტიმურად. უკრაინა საქვეყნოთ ცნობილია როგორც «შავი მიწის» და ბუნებრივი სიმდიდრის მხარე და როგორც ხორბლეულის საუკეთესო ადგილი. თუ ავიღებთ უკრაინის ცხრა გუბერნიას, გალიციის გამორიცხვით, ხლოო ყუბანის შერთვით, რომელიც ეთნოგრაფიულად უკრაინას ეკუთვნის, დავინახავთ, რომ 1912-1915 წლ. უკრაინა იძლეოდა ყოველ წლიურად 175 მილ. კენტალ (კენტალი—100 კგ.) ხორბალს, 100 მილ. კენტალს ჭარხალს და 60 მილ. კენ. კარტოფილს. ამავე პერიოდში თამბაქოს მსხავალი იყო 65 მალ. კენტალი (ამაში 22 მილ. უმაღლესი ღირსებისა). სახეთო მარცვლეულის წლიური მსხავალი უდრის 6 მილ. კენტალს. ამაში კანაფის ერთ მი-

ლიონს და სელი 600 ათასს. ყურძენი ყოველ წელიწადს მოდის ერთი მილიონი კენტალი, რაც იძლევა დაახლოვებით 50 მილ. ლიტრს ღვინოს.

უკრაინის მესაქონლეობასაც არ უკავია უმნიშვნელო ადგილი. დიდი ომის დასაწყისში უკრაინას ჰყავდა 8 მილიონი 100 ათასი ცხენი და 27 მილ. ნახევარი რქიანი და აგრეთვე 6 მილ. და 300 ათასი ღორი.

უკრაინას აქვს ქვანახშირის ფართო ბასეინი და მას ეკუთვნის უდიდესი ნაწილი დონეცის ანტრაციტისა. მის ხელთაა რკინის სამადნეები, რომლებიც იძლევიან წლიურად 5-7 მილ. ტონს მადანს. უკრაინის მარგანეცს მესამე ადგილი უკავია მთელს მსოფლიოში (საქართველოს და ინდოეთს შემდეგ). იგი შეიცავს სანავთო ადგლებსაც აღმოსავლეთ გალიციასა (10-17 მილ. კენ.) და ყუბანში (12-17 მილ. კენტ.).

ყველა აქ ჩამოთვლილი სიმდიდრე ნათელ ჰყოფს, რომ უკრაინას შეუძლია საკუთარი სახელმწიფოს

შექმნა და თავის ძალების განვითარება. ქვა-ნახშირის და რკინის მადნების მეოხებით მას შეეძლო დიდი ინდუსტრიის შექმნა. მაგრამ რუსეთის ცენტრალის-ტური პოლიტიკა კვარველობდა ინდუსტრიის გან-ვითარებას ჩრდილოეთში და ხელს უშლიდა უკრაინაში. ამით აიხსნება, რომ საქსოვი წარმოება თითქმის არ არსებობდა უკრაინაში (იგი უდრიდა ძველი რუსეთის პროდუქციის ერთს მეთედს). მაგრამ ზოგი მრეწველობა, როგორცაა შაქრის და ფქვილისა, აგრეთვე მეტალურგია და კერამიკა, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა, მაინც უფრო განვითარდა უკრაინაში, ვიდრე რუსეთის სხვა ნაწილში. რაც შეეხება კერძოდ მეტალურგიას, უკრაინაში ოცამდე ქარხანაა, ორმოცდაათზე მეტი მაღალი ლუმელი, რომლებიც იძლევიან სამ მილიონს ტონს ნადნობს. უკრაინას აქვს ლოკომოტივების ფაბრიკები. რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი რკინის გზის საჭიროებას. ეკატერინოსლავსა, ნიკოლიევში და სხ. მრავალი ქარხანაა. სასოფლო მეურნეობის იარაღებისათვის უკრაინაში ოთხმოცი ფაბრიკაა, რომლებიც აკეთებენ 150 მილ. ფრანკის იარაღს.

ხოლო უკრაინის მთავარი წარმოებაა შაქრის მრეწველობა. უკრაინა აძლევდა რუსეთს მთელი შაქრის 85 პროცენტს. 1915 წ. მთელ რუსეთში 265 საშაქრო ქარხანა იყო, ამაში უკრაინას ეკუთვნოდა 222. უკრაინის მიწა განსაკუთრებით ვარგისია ქარხლის კულტურისათვის. აქ ქარხალი უფრო ტკბილია ვიდრე სხვაგან. გერმანიის შემდეგ ქარხლის შაქრის წარმოებაში მეორე ადგილი უკავია უკრაინას. ეს წარმოება თანდათან იზრდება. ათი წლის განმავლობაში (1905-1915) გადიდა ასი პროცენტით.

რაც შეეხება ფქვილის ინდუსტრიას, უკრაინას აქვს 50 ათასი პატარა და რვა ასი დიდი წისქვილი. ეს გვიჩვენებს რომ ფქვილის წარმოებას უკრაინაში საპატო ადგილი უკავია, თუმცა მისი ხორბლეულის მეტი წილი დაუფქველი გამოაქვთ გარეთ.

საკმაოდ განვითარებულია სპირტის მრეწველობა, იგი აძლევდა ძველ რუსეთს მთელი სპირტის მეოთხედს. კერამიკაც უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე დანარჩენ რუსეთში. უკრაინაში არის 12 ქაშანურის (ფაიანსის), 30 შუშუელის და 12 ცემენტის ქარხანა. მაგრამ ადგილობრივი ბუნებრივი პირობები იმდენად ხელს უწყობს ამ წარმოებას, რომ აუცილებელია მისი ფართო განვითარება.

ქიმიური მრეწველობა ჩამორჩენილია, ხოლო უკანასკნელი დიდი ომის დროს თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ, განსაკუთრებით ბენზოლის, ნავთ-ლინის, ამონიაკის და სხ. ნაწარმოების დარგში.

ყველა ზემოთქვამიდან ის უნდა დავასკვნათ, რომ უკრაინას, რამდენად განამტკიცებს თავის სახელმწიფოებრივ არსებობას და ისარგებლებს უცხოეთის კაპიტალს, დიდი ეკონომიური მომავალი მოელის. საფრანგეთის და ბელგიის კაპიტალი უკვე დაბანდებულია უკრაინის ბევრ წარმოებაში, მაგრამ ფართო სარბიელი ჯერ კიდევ წინაა. გარდა ინდუსტრიისა, უცხოეთის კაპიტალს შეუძლია დიდი როლი ითავსოს რკინის გზების, არხების და სხვა ამ გვარ საქმეების მოწვეობაში.

ხშირად ამბობენ, უკრაინა ეკონომიურად რუსეთზეა გადაბმული. უდავოა, რომ ორ მეზობელ ქვეყანას ყოველთვის აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა. მაგრამ უკრაინის და რუსეთის ეკონომიური დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა ღრმა. რას აძლევდა რუსეთი უკრაინას? პროტექციონურ წყობილებისა გამო, უკრაინა იძულებული იყო მოეხმარა ჩრდილოეთ რუსეთის ნაწარმოები, ხოლო ეს უკანასკნელი გაცილებით დაბლა იდგა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის საქონელზე და თანაც უფრო ძვირათ ღირდა. მეორეს მხრით რუსეთი არ წარმოადგენდა უკრაინისათვის დიდ ბაზარს. უკრაინის ხორბლის ექსპორტის მხოლოდ 15 პროცენტი მიდიდა რუსეთში. რუსეთს თვითონ ბევრი სახორბლო მიწები აქვს, რომლებიც აქამდის ვერ უსარგებლია, მართო ვოლგის შეუძლია რუსეთის გამოკვება და საექსპორტო ხორბლის მიცემა. და ბოლშევიკური არევის შემდეგ არაა, რომ რუსეთში ბევრი ადგილი დაუმუშავებელია და ხალხს პური არ ყოფნის.

ამბობენ აგრეთვე, რომ დონეცის ბასეინი აუცილებელი საჭიროებაა რუსეთისათვის. მაგრამ სამი მეოთხედი ამ ბასეინის პროდუქციისა რჩება თვითონ უკრაინაში. მარტო ერთი უკრაინული მეტალურგია ხარჯავდა დონეცის პროდუქციის 30 პროცენტს. ჩრდილოეთი რუსეთი ხარჯავდა გერმანიიდან და ინგლისიდან შემოტანილ ნახშირს. მოსკოვის მრეწველები ხმარობენ აგრეთვე ნავთს, შემას და ქვანახშირს, რომელიც მოიპოვება მოსკოვის მახლობლად.

ამას გარდა უკრაინის სახელმწიფოს შეუძლია ყოველთვის მოაწესრიგოს ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან. უკრაინის მთავრობა ვალდებულია იზრუნოს თავის ეროვნულ მრეწველობისათვის და შესაძლებელია ეძიოს ბაზარი თავის პროდუქციისათვის რუსეთში; უნდა იქონიოს სახეში აგრეთვე თვით რუსეთის ინტერესებიც და ერიდოს ყოველგვარ პოლიტიკურ გართულებას ჩრდილოელ მეზობელთან.

უკრაინა და რუსეთი, თუმცა ორივე მიწათმოქმედი ქვეყანაა, საერთოდ განსხვავდებიან ერთმანეთში ეკონომიურის და სოციალურის ცხოვრებით. რუსეთი უფრო პირდაპირაა მიკროული აზიანზე და უნდა იზრუნოს თავის სიმდიდრეთა გამოყენებაზე; უკრაინა კი პირიქით დასავლეთს ეკვრის. განსხვავდებიან სოფლის მეურნეობის სასიათით. რუსეთში თემი (მირ) ბატონობს. უკრაინაში კი წვრილი მესაკუთრეობაა გაბატონებული. უკრაინაში იყო მსხვილი მამულები, მაგრამ ისინიც დანაწილდა ნაჟერ-ნაჟრად.

უკრაინის ეკონომიური ძალები, რომლებიც ვერ ჩაქა მეფის მთავრობის წინააღმდეგობამ, სრულს გარანტიას გვაძლევენ, რომ თავისუფალი უკრაინა სათანაად აღვიოს დაიჭერს ევროპის ცხოვრებაში. უკრაინელი ხალხს შრომის მოყვარეა და ადვილად ითვისებს პროგრესს. ამას გვიმტკიცებს კოლოპრატიული მოძრაობის განვითარება, რომელსაც ხელმძღვანელობდენ თვითონ გლეხები.

ალ. შუღლინი

უკრაინის რესპუბლიკის რწმუნებული, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(ცდა ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მეურნეობის მიმდინარეობისა)

(გაგრძელება)

8.

გადავხედოთ, როგორაა დანაწილებული საქართველოს ე. წ. კულტურული მიწები, ე. ი. მიწის ფონდის ის ფართობი, რომელიც მუშავდება ამა თუ იმ წესით და რაიმე შემოსავალსაც აძლევს სოფლის მეურნეს.

საქართველოს საგეგმო კომისიის მასალებში შემდეგ ცნობებს ვეცნობით ამ საგნის შესახებ.

ნათესების ფართობი

(ათას ჰექტარ.)

1927-28 წ.

1) პურეული კულტურები 758,6

2) ტექნიკური კულტურები 22,3

მათ შორის

ბამბა . . . . .	5,4
კანაფი . . . . .	0,16
სელი . . . . .	0,9
კენაფი . . . . .	0,04
აბუსალათინი . . . . .	0,3
თამბაქო . . . . .	14,1
მზისუმზირა . . . . .	1,4
შაქრის ჭარხალი . . . . .	0,01

3) მემინდვრეობის დანარჩენი

დარგები 12,7

მათ შორის:

კარტოფილი . . . . .	5,8
ერთწლ. ბალახები . . . . .	1,9
მრავალწლიანი . . . . .	0,8

სულ მემინდვრეობა 793,6.

რალა თქმა უნდა, არც აქა გვაქვს საქმე ერთ რომელიმე გამორჩეულ ციფრთან. ნათესების ფართობის შესახებ სხვადასხვა წყაროები ასეთს ცნობებს იძლევიან (1927—28 წლისათვის): 783.058 ჰექტ.; მახარაძე დიაგრამების მიშველებით ამ ფართობს 800,2 ათას ჰექტ. აღნიშნავს და ამაში მარცვლეულ და ცერცვეულს=758,6 ათას ჰექტ.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით მემინდვრეობაში ჩაბმულია +—800.000 ჰექტ. და თუ მთელს კულტურულ ფართობს ჩავთვლით 1.260.000 ჰექტარ., გამოდის რომ ყოველ წლივს იხვეწებენ და არავითარ მოსავალს არ იძლევა 450.000 ჰექტარი.

ამ მასალის გადახედვა გვიჩვენებს, რომ უმთავრესი ფართობი დაკავებულია პურეულის კულტურით (სიმინდი+ხორბალი). თუ თამბაქოსა, ბამბის და კართოფილის ნათესებს გამოვაკლებთ (სულ რაღაც 26 ათასი ჰექტარია) დავინახავთ, რომ დანარჩენი მინდვრის მიწები სულ მარცვლეულ და ცერცვეულ მცენარეთ უჭირავს. ამ რიგად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მემინდვრეობა საქართველოში მხოლოდ სიმინდის და პურის მოყვანაში გამოიხატება.

სწორედ ასეთივე მდგომარეობა იყო ომამდევ და რასაკვირველია შემთხვევითი მოვლენა არაა, რომ ჩვენი ქვეყნის მემინდვრეობა და თუ გნებავთ მთელი სასოფლო მეურნეობის ტონის მიმცემლობა, პურის და სიმინდის მოყვანაში გამოიხატება.

რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ჩვენი მემინდვრეობის ხასიათი, ვნახოთ, როგორ იზრდება ის ფართობი, სადაც სიმინდი ითესება.

სიმინდი ითესებოდა (ჰექტარებზედ)

1913 წელს	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.	1928 წ.
350.616.	387.796.	391.619.	396.856.	422.485.

რადგან ამავე დროს მემინდვრეობის საერთო ფართობი თითქმის სულ არ იზრდებოდა (იყო დაკლებაც-კი!), გამოდის რომ პურის ნათესი თანდათან კლებულობდა და ყველგან პირველობას სიმინდს უთმობდა. სიმინდის ყანების ასეთს ზრდას უცხოელმა შორიდან თვალი რომ გადაავლოს, ალბად, ეგონება, რომ საქართველოში, სადაც მიწის უკიდურესი სიცივრევეა, სოფლის მეურნეობა ნორმალურ ჩარჩოებში სწარმოებს, რომ სოფლის მეურნეობის სისტემა, მისი თესლობრუნვა რაციონალად არის დაყენებული. მართლაც და ასეთი ამბავი სხვა ქვეყნებშიც, სადაც-კი ხალხის მუდროთ დასახლებასთან ერთად, მიწის ნაკლებობას უჩენია თავი, იქაც ხორბლის ყანების ხარჯზედ იზრდებოდა სიმინდის თესვა და შემდეგ სტადიაში—კართოფილის ნათესები იქურდა პირველს ალაგსა. იქაც კლებულობდა პურის ნათესის ფართობი, მაგრამ ამით პურის საერთო მოსავალი კი არ დაკლებულა, არამედ გაზრდილა კი დევ! ამაზედ კიდევ გვექნება საუბარი... იმ ქვეყნებში სიმინდი და კარტოფილი ისე ხალხის გამოსაკვებათ არ მოყავდათ, როგორც მესაქონლეობის რაციონალად დაყენებისათვის და საქარხნო მრეწველობის გასაძლიერებლად.

ჩვენში, საუბედურთ, ასე არ ხდება; ჩვენში სიმინდის თესვა იზრდება, რადგან პურის მოსავალი აღარა ყოფნის მოსახლეობას, ვინაიდან გამოფიტული, ცუდად დამუშავებული მიწა მეტად ნაკლებ მოსავალს იძლევა პურისას... ეს უკვე სასოფლო მეურნეობის ზრდის ნიშანი-კია არა, მისი დაკნინებაა ამიტომ აქ გასახარელი არა არის რა, როგორც ეს ზოგიერთ კომუნისტ მეთაურებსა ჰგონიათ... რომ საქმე სწორედ დაკნინებასთანა გვაქვს და არა აყვავებასთან, აი ორი უტყუარი ფაქტი. ომამდე, თუ მოსავალი ცუდი იყო, საშუალოდ გვიცდებოდა გარედან შემოტანა 3 ნახ. მილ. ფუთ ხორბლისა. ესლა კი ჯუღელის (მიწადმოქმედ. უწყების დიდი ტუზია) სიტყვით, უხდებათ 10-14 მილიონი ფუთის შემოტანა. მაგრამ ჩვენი სასოფლო მეურნეობის გაუბედურების მაჩვენებლად ეს არა კმარა. ამას წინად მახარაძემ საჯაროთ განაცხადა, რომ პურის გარდა გვიცდებდა რუსეთიდან შემოტანა კართოფილის და ხახვისა. დიად,

ხანვისა!.. ქართველ მეურნეს თავისი საყოფი ხანვიც კი აღარ მოყავს, იმ ხანვის, რომელიც ყოველთვის თავსაყრელი იყო ჩვენში და ბათუმი-ფოთის გემებს ყოველ დღე მიჰქონდათ შორეულს მგზავრებაშიც-კი.

ქართველი სოფლის მეურნის მდგომარეობა სწორედ რაღაც დაუსრულებელი ტრადიციას! მხნე და გამჭირიან სოფლად მომუშავე ქართველს, რომლისთვისაც ბედს, უმეტესად, დიდად ნაყოფიერი მიწა მიუცია, თბილი და მზიანი ამინდებით; ხალხს, რომელსაც უხსოვარ დროთაგან შეუთვისებია პურის თესვა და ეს მაშინ დიდი ეკონომიური მიღწევა იყო; რომელმაც გამოიმუშავა მისი ქვეყნის ბუნებისათვის გამოსადეგი «ქართული» გუთანი, რომელიც დღეს თუმცა ჩამორჩენილი იარაღს წარმოადგენს, მაგრამ თავის დროზე, მეცნიერების მოწმობით, საპატიო ალაგი ეკავა გუთნის გაუმჯობესების ევოლუციაში; იმ ხალხს, რომელსაც უხსოვარ დროთაგან ენერჯება ასეთი რთული და ძნელი სპეციალობა, როგორც მევენახეობა და მეღვინეობა—მას ამ ქამად ვეღარ მოუხერხებია საკმაო პურის მოყვანა, მეურნეობის რადიკალურად გაუმჯობესება პურიდან-სიმინდის კვებაზე გადადის საერთოდ, და ვაი სირცხვილო—ხანვის მოყვანაც-კი აღარ ეხერხება!.. ამაზე უფრო უძნელეს ბრალდებებს წარადგენა, ხალხის მიმართ კი არა, რომელიც აქ არასდროს შუაშია, არამედ ამ ხალხის მმართველების წინაშე—ძნელი წარმოსადგენია.

დიაღ, ყველა ეს ლოლიკური შედეგია იმ გამუდმებულ წვალების, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა მისი მამინაცვლების პოლიტიკით; იმ პოლიტიკის, რომელმაც სათავეშივე ჩაკლა ადგილობრივი მრეწველობის ზრდა, ეკონომიური ძალების თავისუფლად განვითარება და მით მოამზადა სასოფლო-მეურნეობის საშინელი დაცემაც!..

განსვენებულს ნოე ხომერიკს თავის წიგნში მოყვანილი აქვს ასეთი ჩვენთვის მეტად საინტერესო ცნობები. მისი ანგარიშით 1913 წელს საქართველოში დამუშავებული ყოფილა 700 ათასი ჰექტარი (დაახლოებით 650.000 დესეტ.) და ამ ფართობზედ პურის მოსავალი ყოფილა 528—560 ათას ტონამდე. ამავე ზომის მიწებზედ უცხო სახელმწიფოებში კი ასე ყოფილა განაწილებული მოსავალი:

700 ათასი ჰექტარი:

საქართველოში	528-560.000	ტონი.
იტალიაში	595.000	„
საფრანგეთში	875.000	„
გერმანიაში	1.240.000	„
ბელგიაში	1.610.000	„
დანიაში	1.820.000	„

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რა დაბლა სდგას ჩვენში სასოფლო მეურნეობის ტენიკა.

იგივე ცხრილი იმასაც გვიჩვენებს, თუ რა მიღწევებზე შეუძლია ავიდეს საქართველოს მეურნეობა, როდესაც იქაც დამყარდება თანამედროვე, რაციონალი სისტემა სოფლის მეურნეობისა.

ჩვენი ქვეყნის მორიგ ეკონომიურ კითხვებს შორის, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დაისვა (რასაკვირველია უშედეგოდ) კითხვა, რამდენად არის მიზან-

შეწონილი, რომ საქართველო, რომლის ბუნებრივი სიმდიდრე და შესაძლებლობანი ეკოდენ მრავალფეროვანია, მისდევდეს პურის, სიმინდის და ქერის მოყვანას, როდესაც მას შეუძლია უფრო ძვირფას კულტურას მიმართოსო. ასე კითხვა დღესაცაა დანშული საქართველოში.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა შეერთებულს ეკონომიურ ყრილობებზედ, ჯერ კიდევ 1923 წ (1-6 მარტი) ზოგიერთი პურის და სიმინდის თესვის სრულს მოსპობასაც-კი (sic) მოითხოვდენ, რომლის შემოტანა საქართველოს საჭიროებისათვის რუსეთიდანაც შეიძლება და აქ კი უფრო ძვირფას მცენარეთა გაჩენას უნდა მივმართოთ.

თავის თავად მართალი აზრი უდევს სარჩულად საქართველოში ძვირფასი მცენარეულობის მოყვანის აუცილებლობას, მაგრამ საგნის დიდი შეუგნებლობა მოთხოვნა ამისათვის პურისა და სიმინდის მოსპობისა ჩვენში, რადგან სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენმა სოფლის მეურნემ გაცილებით უფრო ნაკლებ ტერიტორიაზედ თავისთვის სამყოფი პურიც მოიყვანოს და ახალ კულტურასაც მიმართოს. ამისი წამალი სხვაგან დიდი ხანია გამოგონილია, ამისათვის საჭიროა ჩვენში არსებული სასოფლო-მეურნეობის სისტემის და ტენიკის შეცვლა და მათი დაყენება თანახმად თანამედროვე აგრიკულტურის მეთოდებისა და ამისათვის სათანადო ორგანიზაციების შემოღება.

თუ რის მიღწევა შეიძლება ამ შემთხვევაში, საუცხოვო მაგალითს გვიჩვენებს ჩვენზედ უფრო პატარა სახელმწიფო, დანია.

აი რასა ვკითხულობთ ედ. დავიდის წიგნში «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა»:

«დანია პატარა ქვეყანაა, მას აბაღია სულ რაღაც 3.8 მილიონი ჰექტარი «ვარგისი» მიწა და მისი მოსახლეობა 2 ნახ. მილიონია, ორივე სქესის: ეს სახემწიფო უაღრესად გლეხური მეურნეობის ქვეყანაა. 1870 წლების მიწურულეებში, როდესაც ოკეანის გაღმა ქვეყნების კონკურენცია დაიწყო, დანიის გლეხს ჯერ კიდევ გაქონდა საზღვარ-გარედ გასაყიდი პური. ესლა-კი მას სულ სხვა გვარი სოფლის ნაწარმები გააქვს უცხოეთში: მუშა საქონელი, ხორცი, ღორი, კვერცხი, კარაქ-ერბოულობა და სხვა. იმის მაგივრად, რომ საბაჟო გადასახადების შემოღებით ეშველა თავის თავისთვის, დანია, პირიქით, იმასა ცდილობს ამ ქამად, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოიტანოს, რაც შეიძლება მეტი პურეულობა და სხვა თესლეულობა, რომლითაც ისინი თავის მუშა საქონელს კვებავენ. არ გვეგონოთ, რომ ამით დანიის ნათეს მინდვრებს რამე დაუშავდათ: დანიის სოფლის მეურნეს ამ ქამად პური ძველებურზედ ნაკლები კი არ მოჰყავს, არამედ გაცილებით უფრო მეტიც. ამავე დროს თვით პურის მოსავალიც ყოველწლივ იზრდება».

ამავე სურათს გვიხატავს დანიის შესახებ დღევანდელ რუსეთის ეკონომისტი ს. მასლოვი (იხ. მისი «კრესტ. ხოზ.»). ჩვენგან უკვე მოხსენებულ პროფ. ზოლას, თავის წიგნში «l'Agriculture moderne» მოყავს საფრანგეთის ცნობილ აგრიკულტურის ლ. დე-



ლავერნის შემდეგი მოსაზრებანი (გვ. 317)—«სოფლის მეურნეობის მიზანი ხომ ის არის, რომ მის განკარგულებაში მიცემულს მიწებზედ მოიყვანოს ადამიანის დასაკმაყოფილებლად რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა სხვადასხვა გზა იყოს არჩეული. საფრანგეთის სოფლისმეურნეონი სულ პირველად იმაზედ ზრუნავენ, რომ პურეული მოიყვანონ. ვინაიდან ადამიანი უშუალოდ სწორედ პურით იკვებება. ინგლისში-კი ცოტა სხვანაირად მოიქცნენ. იქ დიდი მოფიქრების შემდეგ და მიხედვით ინგლისის პავისა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უკეთესია ცოტა უფრო მოხვეული გზით იარონ, იმ გზით, რომელიც მათ დაბოლოს ისევ პურეულის მოსავლის მიღებასთან მიიყვანს, მხოლოდ ისე-კი, რომ ჯერ სხვა კულტურის შემოღება ეცადათ. იქ მალე დარწმუნდნენ, რომ ასეთი «მოხვეული» გზა, სწორედ უკეთესი ყოფილა. პურეულობის თესვას ერთი უხერხული თვისება აქვს,—რასაც საფრანგეთის სოფლის მეურნე არ აქცევდა, მაინცდამინც, დიდს ყურადღებას: პურეული აღარიბებს ნიადაგს. ეს ნაკლი შეიძლება მართლაც-და უმნიშვნელო იყოს ზოგიერთ ღონიერს მიწებისათვის და მისი გავლენაც შეუმჩნევლად დარჩეს, მანამ მოსახლეობა ჯერ კიდევ მცირე რიცხვოვანია და მიწებიც ჯერჯერობით ჭარბათაა აქვთ, მაგრამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად—ყველაფერი იცვლება... პურეულობის თესვით მიწა ყველაზედ ადრე ჩრდილოეთ ქვეყნებში ილახება, სამხრეთით-კი უფრო გვიან. მათი მიწების ღირსების ასეთი ნაკლოვანება საუცხოვოთ გამოიყენეს ინგლისელებმა: რადგან მათ სხვედსათვის აღარ შეეძლოთ ისე ხშირად მოიყვანათ თავის მიწებზე პური, ინგლისელებმა დაიწყეს ძიება მათი ნიადაგის გამოფიტვის მიზნებისა და მუყაითად შეუდგნენ სათანადო წამლის გამოგონებას. ამავე დროს მათ დაინახეს, რომ მათი მიწები ისეთს სიმდიდრეს იძლეოდნენ, რომელსაც მოკლებულნი იყვნენ სამხრეთის ქვეყნები; ეს არის ბალახის უხვი მოსავალი, იმ ბალახის, რომლითაც ისე ხინებულათ იკვებებოდა მათი მუშა საქონელი.

აი ამ ორი პირობის დაპირდაპირებით იშვა მათი აგრიკულტურული სისტემა. რადგან საქონლის პატივი საუკეთესო საშუალებაა, რომ პურეულობის თესვით გამოფიტულ მიწებს თავისი ძალა დაუბრუნდეს, ინგლისელები სულ პირველად იმ აზრს დაადგნენ, რომ საქირთა რაც შეიძლება მეტი საქონლის მოშენება. ისინი მიხედნენ, რომ საქონლის ბლომად გამოკვებით დიდძალ სასუქს დააგროვებდნენ. ამით თავიანთ მიწებს გააღონიერებდნენ და ბოლოს პურის დიდს მოსავალსაც მიიღებდნენ. ეს მარტივი ანგარიში სავსებით გაუმართლდათ... საქონლის გამოსაკვებათ, სულ პირველად, ბუნებრივ საძოვრებით კმაყოფილდებოდნენ; ყველა მიწების ერთი ნახევარი სათიბათ და საძოვრათ რჩებოდა, მეორე ნახევარი-კი ნაწილად პურით ითესებოდა, ნაწილობრივ-კი ისვენებდა. შემდეგში ასეთი დანაწილებაც შესცვალეს, ბალახეულობის დათესვით გააჩინეს ხელოვნური სათიბ-საძოვრები და შემოიღეს ძირნაყოფი მცენარეულობის მოყვანა.

შემდეგს პერიოდში უფრო-კიდევ შეამცირეს ის ფართობი, სადაც წინათ პური მოყავდათ. თუ პურეულობაში ქერსაც ვიანგარიშებთ, 1850 წლიდან დაწყებული, პურეული მთელი მინდვრების მხოლოდ ერთ მეხუთედზედ თუ ითესება.

ამ სისტემის უპირატესობა იქიდანაა სჩანს, რომ იმის და მიხედვით რაც საქონლის მოშენება იზრდება, მატულობს პურის მოსავალიც: რაც მან მიწების შემცირებით წაავს, უფრო მეტად მოიგო კარგის გამოსავალით; ამნაირად სოფლის მეურნეობა ორნაირ მოგებასა ხედავს.»

ვნახოთ რა ხდება საფრანგეთში. ამ ქვეყნის სასოფლო-მეურნეობის ევოლუციის შესახებ ასე მოგვითხრობს პროფ. ზოლა (გვ. 319): «საბედნიეროთ საფრანგეთის მეურნეობამაც, თუმცა დავვიანებით, იმავე მაგალითს მიბაძა და ამნაირადვე გარდაქმნათვისი სასოფლო-მეურნეობის კულტურა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფართობი, რომელზედაც საქონლის საკვები მოჰყავთ, თანდათან იზრდება, თვით პურის მოსავალიც მატულობს, ყოველ წლივ და შეუჩერებელი.»

ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა, გავეცნოთ სასოფლო-მეურნეობის ევოლუციას გერმანიაში. ამ გაცნობის საშუალებას გვაძლევს ერთი ფრანგი აგრონომი, ბ-ნი შოპა (Maupas), რომელმაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო ერთს გერმანელ პატარა ფერმაზედ, თავის ტყეობის დროს. თავის დაკვირვებას დაგერმანელ სასოფლო-მეურნეობის შეფასებას იგი გვაძლევს წიგნაკში: «Une petite Ferme allemande. Doctrines et Pratiques agricoles d'Outre—Rhin» (გვ. 138). ავტორი ვესტფალიის პატარა ფერმებს აგვიწერს, სივრცით 1-10 ჰექტარამდე და დასძენს, რომ ამნაირი ზომის ფერმების რიცხვი 31,1 პროცენტია იმ პროვინციაში; ამნაირად ერთი ფერმის გაცნობა სრულს წარმოდგენას იძლევა თითქმის მთელს ვესტფალიის მეურნეობაზედ.

ამ პროვინციის «ვარგისი» მიწების ფართობი 1.225.910 ჰექტარს უდრის. ნიადაგი უფრო ღირბიბია ვიდრე სამხრეთ საფრანგეთში, წვიმები-კი ცოტა მეტი იცისო. ფერმის მიწები ასეა დაყოფილი: 2 ჰექტარი ტყე, რომელიც გორაკ ფერდობზეა გაშენებული, ჩრდილოეთით; ნახევარი ჰექტარი ბუნებრივი სათიბი, გორაკის ახლო, ჭაობის ადგილას; და ბოლოს 3 ჰექტარი სახნავი მიწა.

ამ ფერმის საქონელს შეადგენს: სამი ძროხა და ოცდაათამდე ღორი. ღორების ზამთრის საკვებათ ფერმაშივე მოყავთ კარტოფილი და სხვა ფესვებ ნაყოფი. სახაფხულოთ-კი ამისათვის მომარაგებულა ქერის და ჭვავის ფქვილი და ცოტა ბალახი, მაგრამ ახლად მოთიბული; რადგან ჭაობიან ადგილის თივა ძროხებისათვის არაა სახიერო, ფერმა ყიდის იმ თივას და სამაგიეროთ სთესავს სახნავ მიწაზე სხვა და სხვა ბალახეულობას; ეს დათესილი ადგილები საქონლის შარდით ირწყვება, ამის გამოისობით ბალახეულობა უხვად მოდის; ამას ემატება კიდევ სამყურა ბალახი და აი ეს არის საქონლის საკვები ზაფხულის მარაგი.

ზამთარში ძროხებს ეძლევათ ჭარხალი, შვრია,

ბზე, სხვადასხვა ფქვილეულობა და ფესვებნაყოფიერები.

ფერმის ყველა საქირობათა დასაკმაყოფილებლად სოფლის მეურნე ამნაირად ანაწილებს თავის მიწებს:

ა) მთავარი კულტურა

მცენარეულობა. (არი=ასიკვ.მეტ.)	რამდენ არზედ	მიწის რამდენი ნაჭერი უჭირავს:
1. კართოფილი(ნაგვიან.)	25 არი	ერთი და მეოთხ.
2. ცერცვეული მცენარე	10 »	ნახევარი.
3. ჭარხალი	10 »	ნახევარი.
4. შვრია	90 »	ოთხნახევარი
5. სამყურა	40 »	არი.
6. ფესვებნაყოფი	5 »	მეოთხედი
7. ქერი	33 »	ერთნახევარი
8. ჭვავი	7,5 »	3 და 3 მეოთხ.
9. პური	12 »	ნახევარი
10. ბალი	5 »	მეოთხედი

სულ: 3 ჰექ. 5 არი. 15 ნაჭრათ(მორგ.)

ბ) შერეული კულტურა

- a) 33 არი ფესვებნაყოფი, შემდეგ მეშვიდე ნომრისა.
- b) 25 არი გარეული, ტბილი ბოლოკი
- c) 5 არი ბალახი
- d) 40-50 არი საზაფხულ ბალახეულობა

აი რა მოსავალი მიუღიათ ამ ფერმის მიწებზედ:

ომამდე	ომის დროს	თითო ჰექტარზედ:
1) ქერი	14,6 კვინტალი*)	27 კვინტალი.
2) ჭვავი	16,5 »	25 »
3) პური	18,5 »	31 »
4) კართოფილი	135,4 »	300 »

ამ ცხრილს ასეთი განმარტება აქვს დართული, ფრანგ აგრონომისა:

«ეს ციფრები ომის და საერთო არევ-დარევის დროს ეკუთვნის, როდესაც, ცხადია, ძნელი იყო მიწების სათანადო დამუშავება. აქ მოყვანილი ცნობები არა ერთ ჩვენს თანამემამულეს გააოცებს, თავისი მოულოდნელობით; საქირა იმ საშუალებათა გამოქვეყნება, რომელთა მეოხებითაც არის მიღწეული ამისთანა ბედნიერი შედეგები. იქნება რამე ახალი ქიმიურად შეზავებული სასუქის და საკვების გამოგონება იყოს ამისი მიზეზი? გერმანელები ხომ ამაში კარგად არიან ცნობილნი! იქნება მიზეზად ახალი რამ ხერხი იყოს მიწების დამუშავებისა, ხერხი, რომლის მოხმარება შესაძლებელი გამხდარა ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მანქანების გამოგონებით? არა და არა: პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ის საშუალებანი, რომლის მეოხებით მიიღეს იქ ასეთი დიდებული შედეგები, არავითარ ორიგინალობას არ წარმოადგენენ! ყველა ის ხერხები იმდენადვე ცნობილი საფრანგეთში, როგორც რეინის გაღმა მხარეში. აი ჩამოვთვლი მათ და ვნახთ, მართალი ვარ თუ არა.»

სულ პირველად აღსანიშნავია მეთოდიური და-

\*) კვინტალი უდრის ას კილოგრამს (ან 6,1 ფუნტს).

წყობა-დანაწილება ყველა იმ ცალ-ცალკე სამუშაოსი, რომელიც საქირა მიწების დამუშავებისათვის. ამნაირი მუშაობით გერმანელებმა ის მოიგეს, რომ აღარა გრძნობენ მუშა-ხელის ნაკლებობას. ამავე მიზნისათვის შეუწყვეტლივ და მეთოდიურათვე სწემდენ და ასუფთავებენ დამუშავებულ მიწებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეაქვთ ქიმიური სასუქები. ამით ისინი უზრუნველყოფენ უმაღლესი მოსავლის მიღებას. ჩილის ნიტრატის ყიდვა რომ არ დასჭირდეთ, სასუქად საქონლის შარდსა ხმარობენ; ეს ოპერაცია ბევრ მოვლასა და ყურადღებას ითხოვს,—და გერმანელებიც არ აკლებენ საქირა თვალის ჭერას და გულის ყურს. აი სწორედ ეს გულის ყური, რომლითაც გერმანელები ეკიდებიან ყველა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებს,—ესაა ის ერთად ერთი დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენს, ფრანგ სოფლის მეურნეთა და გერმანელებს შორის. ერთს მაგალითს მოვიყვან და ის უფრო ნათელ ჰყოფს ამ დებულებას. იმის მაგიერად, რომ პირუტყვ-საქონლის შარდი მიშვებულნი იყოს უყურადღებოდ, უწყალოდ იღვრებოდეს და წამოვადგეს ბოსლებში ჰაერს, ან სასმელ ჭის წყალსა, როგორც ეს ჩვენში, საფრანგეთში, ხდება, ვესტვალელი გლეხი ისე უფრთხილდება და ინახავს ამ ძვირფას ნივთიერებას, რომ ჰაერსაც-კი არ აკარებს. ისინი გულმოდგინებით აგროვებენ შარდსა, ინახავენ ჰერმეტიულად დახურულს ცემენტის ცისტერნა-ქვევრებში, სადაც მათ უკლებლად ენახებათ ყველა მათი სასარგებლო თვისებანი, რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც.

ისიც-კი უნდა ვსთქვათო, დასძენს ბ-ნი მოვა, რომ ეს გულის ყური და ამნაირი მეთოდიური მუშაობა იმითაც არის გამოწვეული, რომ თვითეულ ფერმას მრავალრიცხოვანი ოჯახობა ყავს შესანახი და თანაც ისეთი ღარიბი მიწები აქვთ, რომ თუ ბლომა სასუქი არ შეიტანეს, მოსავალსაც უმცირესს მიიღებენო.»

ბოლოს ბ. მოვა ასეთს კითხვას აყენებს: «რითი დგას გერმანელების სასოფლო-მეურნეობა უფრო მაღლა ფრანგულს აგრიკულტურაზე?» და ასეთს პასუხს იძლევა:

1) რეინის გაღმა გლეხები პურის კულტურას მხოლოდ ყველა მათი მიწების 3 პროცენტს ახმარებენო, მაშინ როდესაც საფრანგეთში ამისათვის 10 პროცენტია დატოვებული. იმის მაგიერად, რომ პური ყოველგვარ ღირსების მიწებზედ სთესონ, როგორც ეს ჩვენში ხდება. იქ პურს მხოლოდ საუკეთესო და ღლიერ მიწებს უთმობენ. ღარიბ მიწებზე-კი ჭვავი ითესება.

2) იმ მიწებში, სადაც შემოდგომის პური ითესება, ანოტიული სასუქები განაფხულშივე შეაქვთ; ეს წესი შეუშლელია გერმანიის ყველა პროვინციებში. გერმანიის უპირატესობა ჩვენს ქვეყანაზედ ანოტიური სასუქის მრავლად ხმარებით იმითი აიხსნება, რომ სინტეტიური ანოტის ინდუსტრია ამ ქამად იქ გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ჩვენში, თორემ ბლომად პურის მოყვანაში გერმანელები ჩვენ ვერ გვაჯობებენ. არც სხვა მცენარეულობის მოყვანაში ჩამოუვარდებით მათ, გარდა კართოფი-

ლისა, რომელიც სწორედ გერმანელების სპეციალობაა. ეს მოკლე მოსაზრებანი, ნებას გვაძლევს აღვიაროთ, რომ იმ დღეს, როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობის ისევე შეუფარდებენ აგრარობის მეცნიერების პრინციპებს სასოფლო-მეურნეობის პრაქტიკას, როგორც ამას გერმანელები სჩადიან, ჩვენ ბევრად გაუსწრობთ მათ, რადგან საფრანგეთში მიწა საერთოდ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე რეინის ვალში (გვ. 130).»

ასე დასძენს ფრანგი აგრარობის საფრანგეთის აგრიკულტურის შესახებ; ჩვენ. ქართველებს, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეგ დასკვნა სწორედ ზედ გამოქრილი იქმნებოდა საქართველოსთვისაც. ჩვენ. ქართველ აგრარობებსაც შეგვეძლო გვეთქვა ჩვენებურ სოფლის მეურნეობისათვის—გულს ნუ გაიტყვხ, მომავალი შენია, შეუფარდე შენს შრომას მეცნიერება, შემოიღე საუკეთესო სასოფლო-მეურნეობის იარაღი, შეეჩვიე მხოლოდ ნარჩევ თესვის დათესვას, მიწა კარგად დაამუშავე, დააბატე ბუნებრივის და ქიმიურ სასუქების შეტანით, შემოიღე სათანადო თესობები, საქონლის გამოზრდასაც რაციონალურად მიჰყვივი... და იცოდე შენი მამულის მოსავალი ბევრჯელ უფრო დიდი იქმნება მაზედ, რასაც ვხედავ დაწინაურებულ ქვეყნებში ღებულავენ. ამის თქმა კი შეგვიძლიან, მაგრამ აი რის თქმას ვერ შევძლებთ და სწორედ ამაში გამოიხატება ქართველ და ევროპიელ აგრარობის მდგომარეობის განსხვავება. ჩვენ ვერ მივუთითებთ მის მშობლიურს მთავრობაზედ, რომელიც ცდილობდეს აგრარობის მეცნიერების დამყარებას, მის ხალხში გავრცელებას. ვერ ვეტყვი, რომ კარგი მანქანების შესაძენათ მას სრული თავისუფლება ექმნება შეიძინოს იგი იქ, სადაც უფრო კარგი ღირებულებისა შეხვდება და პირიან ფასებში. ვერ ვუტყვი ქიმიურ სასუქებს მიმართოს, რადგან მისი დღევანდელი მთავრობა სოფელში ყოველ გვარ უბედურებას ამყარებს, ხალხსა რყვინს, ერთი მეორეზედ გადაკიდობთ, და დრო არა აქვს საქართველოს ნიადაგის გამოკვლევის, რომ ვიცოდეთ სად, როგორი და რამდენი სასუქი უნდა მოხმარდეს მიწას. ვერ დავარწმუნებთ სოფლის მეურნეს, რომ მისი ცდა კულტურის და ტექნიკის გაუმჯობესებისთვის კარგად ჩაუფლის, ვინაიდან იგი ყოველგვარ თავისუფლებასა მოკლებული და იქ, სადაც თავისუფლება, ინიციატივის გამოჩენა და მოსახლეობის მიზნობრივი დაჯგუფება აღკრძალულია—იქ შეუძლებელია სასოფლო-მეურნეობის აღორძინება, მისი განვითარება.

მართლაც და აბა რა ხალისი უნდა მიეცეს ჩვენებურ გლეხს, არსებულს პირობებში, მამულის გაუმჯობესობას შეუდგეს, თუნდაც რომ ამისი სრული შესაძლებლობა ქონდეს! ერთიც ვხანათ გაუმართლდა იმედები და ევროპიულად, მეცნიერების მიხედვით, დაიწყო კარგი მოსავლის მიღება! მერე? მერე და ის, რომ აი აქედან დაიწყება მისი უბედურობანი და ტანჯვები. რაკი მოლონობა, სულ პირველად მთავრობის მტრად ჩაირიცხება, მიუსხვევ მას შინაურ და გარეულ მოქიშპეთ, დაარქმევენ, ვაი უბედურობა, «კულაკს» და გათავდა მისი მშვიდობიანი,

ცხოვრება! ერთი რამეა დღეს სარწმუნო ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში: ყოველი სოფლის მეურნე, ყოველი გლეხი კანდიდატია «კულაკების» წრეში გადასარიცხათ, თუ გაუწყრა ღმერთი და თავის მიწაზე რაიმე თაოსნობა გამოიჩინა.

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—გ.

იზვიათი სკანდალი

2 ოკტომბერს პარიზის საბჭოთა საელჩოში, გრენელის ქუჩაზე, დიპლომატიურ ანალებში გაუგონარი ამბავი დატრიალდა, რამაც მთელი პარიზის პრესა განაცვიფრა და საბჭოთა ბნელ საქმიანობას ფარდა ახადა.

აი საქმის ვითარება მოკლედ. მოსკოვიდან ჩამოსულმა რევიზორმა, ჩეკისტ როინენმანმა, დაიბარა თავისთან ელჩის მოადგილე, საელჩოს პირველი მრჩვეელი ბესედოვსკი და წინადადება მისცა, უარეყო თავისი უკლონისტური ცოდვები, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო მოსკოვში დი. იქ ანგარიშები ჩაებარებია. საბჭოთა მსხვილი სანოვნიკი, ტრაკიოში დიდ დიპლომატიურ პოსტზე ნამყოფი და ალბათ საბჭოთა ინტიმურ სრეკებშიც კარგად განსწავლული ბესედოვსკი არ დაიბნა. ცხადია ეცოდინებოდა ისიც, რომ ბერლინის საბჭოთა საკონსულოს სარდაფებში და ალბათ სხვაგანც «ურჩ» საბჭოთა მოხელეებს აქრობენ, სარგებლობენ რა იმას, რომ უცხოეთის საელჩოს ბინა ექსტერიტორიალურია და მაშასადამე ადგილობრივი მთავრობის ჩარევისგან დაზღვეულია; ისიც ეცოდინებოდა, რომ საბჭოთა მოქალაქეებს, და თუ მოახერხეს, სხვებსაც, გაიტყუებენ და ხელპირშეკრულს მოსკოვში ბავაქათ გაგზავნიან, ან გზაშივე მოუღებენ ბოლოს. როცა ბესედოვსკიმ უარი სთქვა მოსკოვში გაბრუნებაზე და საელჩოს კარებიდან გამოსვლა გააპირა, მას გადაეღობენ ორი მისივე კონსიერკი (ბინის მეთვალყუნენი) და ელჩს, რომელსაც ერთი საათის წინ ალბათ მიწამდე თავს უკრავდენ, რევოლვერები მიუღირეს: ბრძანება გვაქვს, საელჩოს შენობიდან არ გავიშვათ. ბესედოვსკი უკან გაბრუნდა. ელჩი პატიმარი თავის საელჩოში. მახლას! იცოდა რა, რომ მისი დღეები, და შეიძლება საათებიც, დათვლილი იყო, ბესედოვსკიმ დიდი წვალაბით მოახერხა მეზობელ ოტელის ეზოში გადასტომა, და იქიდან მეორე ეზოში გადასვლა. ამ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ბოგანოსავით დაფლეთილი, დაკაწრულ-დაფლეთილი, თმა ყალყზე დამდგარი ბესედოვსკი ფრანგ მეკარეს მიადგა. გამოპკითხეს ვინაობა და ტრალიკული თავგადასავალი, სული მოათქმევენეს და წამსვე გაყვენ პოლიციაში. კომისარი გაოცდა, როცა საბჭოთა ელჩი ასეთ ყოფაში ნახა და შეაერთა ტელეფონით პრეფექტურასთან. პარიზი კრემლი არაა: წამსვე გამოირკვა ყველაფერი; ადმინისტრაცია დატრიალდა და, ბესედოვსკის მიერ ექსტერიტორიალობის მოხსნის შემდეგ, წამსვე მიადგა საბჭოთა საელ-

ჩოს უზარმაზარ კარებს, რომლის იქით საწყალი ბესედოვსკის დაპატიმრებული ცოლშვილი აშკარა განსაცდელში იმყოფებოდა, რადგან ბესედოვსკის თუ ვერა, მის ცოლშვილს მაინც გაიტაცებდნენ. საფრანგეთის პოლიციამ კაი ხნის მოლაპარაკების შემდეგ დაიხსნა საბჭოთა ელჩის ოჯახი და მერე ვისგან? ბურჟუაზიის აგენტებისაგან? არა, უცხოეთში მძვინვარე მოსკოვის საიდუმლო ჩეკისაგან.

ბესედოვსკიმ თავისი ცოლშვილი და ბარგი ფრანგის პანსიონში შეაფარა და გაეშურა კე-დ-ორსეიზე, სადაც აღიარა, თუ რატომ უპირებდნენ მას მოსკოვში ძალით გატაცებას. ამრიგათ სიმართლე საბჭოთა საელჩოების სარდაფების შესახებ და საზღვარგარეთელი ჩეკის სკრეტი სინათლის ცენტრში მოექცა. — მე იმ თავითვე ვკიცხავდი საბჭოთა პოლიტიკას: მოსახლეობის ამდენ ექსპლუატაციას, გლეხების პურის მუქთად წაღებას, ქვეყნის დაძაბუნებას და პრესტიჟის დაცემასაო; მე დავკარგე ადგილი და მდგომარეობა, დავლუბე ჩემი კარიერა, მაგრამ რუსეთს სუიროდა დღეს ჩემი ასეთი ქესტი; მე ვიცი, რა აბანოსთვის მიბარებენ მოსკოვში და იქ წასვლის გუნებაზე არ განლავართ, იქ მონობაა; მე უნდა ვსთქა ეს აშკარად დღეს, როცა ბრიყვული პოლიტიკის წყალობით რუსეთის ცხოვრების მაჯისცემა მიყუჩდა, ქვეყანა დავლანდა და დაჩაჩანაკდა, — განაცხადა ბ. ბესედოვსკიმ და თან უჩვენა მოზავებულ კურნალისტებს ავარდნილი ფრჩხილები, დაფლეთილი ტანსაცმელი და დაკაწრული სხეული: ნიშანი იმის, რომ ბესედოვსკის დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ჩეკისტებისათვის, როცა მას ოთახში ამწყვდევდნენ.

საბჭოთა საელჩოში მაშინვე მიადგინეს მოსკოველი ჩეკისტის ვინაობა; ვინაა, რაა როიზენმანი, პირველათ გვეგმისო. მაგრამ ფრანგი რეპორტიორი საბჭოთა «მუშკორი» როდია, რომ თავი მოიტყუილოს ან სწორი ამბავის მაგიერ ფოჩოჩიანი კანფეტით დაკმაყოფილდეს. ის არ მოეშვა საკონსულოს ხალხს, სანამ არ გამოსტეხა, რომ ჩეკისტი როიზენმანი ფაქტია და არა მოჩვენება, მაგრამ ნახვა არ შეიძლება, «უხილავიაო».

ამ სკანდალით შეიძლება სტალინი თავისავე «კუ-კურეკუ» ქედში არ მოემწყვდეს დღეიდან ხვალემდე, მაგრამ საბჭოთა მოღვაწეობის ქვეწარმავლური ბუნება რომ გამომჩნეურდა, ჩაილულის წყალივით ესეც-არ ჩაივლის, თუმცა ელჩმა დოგალევსკიმ თავის მოადგილე და ყოფილ სკოლის ამხანაგზე უტაქტოთ და ცინიკურათ განაცხადა, არაფერია ისეთი, უბრალო თანამდებობის კაცუნა იყოვო.

ბესედოვსკიც არაა ცხადია მთლად სუფთა წყალი, თორემ სად იყო ამდენ ხანს, როცა დამოკლეს ხმალი ამდენ უდანაშაულოთა კისერზე დაეშვა.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

„ტაბუ“, კომუნისტ ბარბიუსს“

ტაბუ, თუ ყველასათვის არა, ყოველ შემთხვევაში, ლეონ ნიკოლისათვის. როდესაც ხელს ახლებ ბარბიუსს, ნიკოლი... გიპასუხებს, ვეჭილობით.

მე ჩვეულებათ არა მაქვს მივაქციო ყურადღება, რასაც სწერენ ჩვენი თანამოკალმეები სიტყვიერ, სადოქტრინო, სადოგმო აზრთა სხვადასხვაობის შესახებ. მე ჩემი პატარა ფილოსოფია მაქვს, რომელიც გვირიან მომთმენობას მიკარნახებს, მომთმენობას, რომელიც ვერდნობა ჩემს იმ არსებით რწმენას, რომ გარემოებათა მსვლელობა ბოლოს და ბოლოს მუდამ იმარჯვებს ჩვენს ინდივიდუალურ კადნიერებაზე. მე რომ ყოველჯერ კალამს მივმართო, როცა ესა თუ ის ამხანაგი სწერს-ისეთ რამეს, რაც მე ორტოდოქსალურად არ მიეჩინა, ან უცნაურათ მეჩვენება, კალამი მუდამ ხელში მექნებოდა.

ლეონ ნიკოლს კი ცოტა არ იყოს წინააღმდეგი ჩვეულება აქვს. მას გონია, რომ მინიჭებული აქვს სოციალისტური ქვეყნიერების «გამასწორებლის» მისია, ხან საფრანგეთში, ხან გერმანიაში, ხან აქ, ხან იქ. ეს საკმაოთ მაღალი და დიდი მისიაა და ყველა, რა თქმა უნდა, მის შესრულებას ვერ შესძლებდა.

თუ ის ძველი სკოლის კალენისტებივით სასტიკია სოციალისტებისადმი—რომლებიც, მართალია მისთვის მაინცდამაინც ყურს არ იბერტყენ—სამაგიეროთ მას საოცარი ლობიერება ემჩნევა ზოგიერთ კომუნისტების, და განსაკუთრებით ანრი ბარბიუსის მიმართ, რომელსაც მისთვის «გამასწორებლის» როლი მიუნიჭია და გარდა ამისა კიდევ თავისი მეგობრობა უბოძებია.

ბარბიუსის მეგობარი უმადურ კაცი არ არის. როგორც კი შეეხებიან ბარბიუსს, ლეონ ნიკოლი იღრინება.

ეს ყველაფერი მისი საქმეა. ხოლო როცა «ლე ტრავაი»-ში და «ხალხის უფლების» დაყრდნობით ლეონ ნიკოლი ცდილობს მე დამტუქსოს—რაიცა ძილს მაინცდამაინც არ მიფრთხობს—, როცა მისთვის ჩვეული სიფაქიზით მიუთითებს თავის მკითხველს ჩემზე, როგორც «შვეიცარიის სოც. პარტიის მთავარ მდივანზე», ამ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს, სხვა არ იყოს რა, მოვითხოვოთ მისგან სადაო საგნის სწორად გადმოცემა.

ამის შემდეგ, რამდენიც უნდა, იმდენი მუჯღუგუნი გვითავაზოს ისეთივე ხალისით, რომელსაც ის ასე ხშირად ანდომებს საკუთარ ქებასა და ქათინაურების შესხმას. ესეც ალბათ ერთნაირი საშვალეებაა «გასწორებისა» და «გაერთიანებისათვის» მუშაობისა. რა მოხდა, მაშ?

აი როგორ გადასცემს ლეონ ნიკოლი თავის მკითხველს საქმის ვითარებას: «ე. — პ. გრანბერი, ამგვართ, აღშფოთებას ეძლევა ბარბიუსის უკანასკნელი წიგნის გამო: «აი რა უყვეს საქართველოს.»»

კახუისტიც ვერ მოახერხებდა ასე სიტყვის ბანზე აგდებას. მე ვერ შევსძლებ ბარბიუსის წიგნის

\*) ტაბუ ნიშნავს: ხელი არ ახლო, აკრძალულია! (დ. ხ.)-ს რედაქცია.



გარჩევას—და ვერც ლეონ ნიკოლი—რადგან ის ისეთივე ღირებულებისაა, რომელიც ექნებოდა გერმანოფილურ მწერლის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტალურ ნაწარმოებს ბელგიის ოკუპაციის შესახებ იმ დროში, როცა ბრიუსელში კაიზერის გენერლები ბატონობდნენ.

ვინაიდან, როგორც ბელგიაში აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომელთაც უნდა გაემართლებია გერმანელთ ოკუპაცია, მოხდენილი ამ დოკუმენტის აღმოჩენამდე, აგრეთვე რუსები ამართლებენ საქართველოს ოკუპაციას ფაქტებით, რომლებიც აღმოაჩინეს მათ შემდეგ ტფილისში წიგნში, რომელიც გამოაქვეყნა ოკუპაციამდე საქართველოს მთავრობამ და რომელსაც მე ფრთხილათ ვინახავ.

ბარბიუსს და ლეონ ნიკოლს შეუძლიათ სთქვან, რაც უნდათ. კავკასიის ირვლივ გაჩაღებულ იმპერიალისტურ აპეტიტებზე. საქართველო იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, ცნობილი რუსეთის მიერ მასთან დადებულ ხასხავ სელემკრძულებით, როცა რუსეთი მას თავს დაესხა ისე, რომ წინასწარ დიპლომატიური მოთხოვნებიც კი არ წარუდგინა და პროტესტებიც კი არ განუცხადებია საქართველოს მთავრობისათვის.

მაგრამ მე ამ აშკარა და უდავო ფაქტსაც კი არ შევხებოვარ.

მე უკიდურესათ აღმაშფოთა და მაშფოთებს ეხლაც კომუნისტ ბარბიუსის როლი, მისი თანამშრომლობა იმ დაპყრობის კამპანიაში, რომელსაც ყოველდღიურათ და ყოველგვარ აწარმოებს მთავრობის სოციალისტების წინააღმდეგ.

აი რა დავებზე მე, ლეონ ნიკოლ! ძნელი არაა იმის ცოდნა, რომ კომუნისტები აწარმოებენ სისტემატიურ კამპანიას, რომლის მიზანია პოლიტიკურათ გაუტეხოს სახელი სოციალისტებს. და ნუ იტყვი, თითქოს ის მიმართული იყოს მხოლოდ ჩემისთანა მემარჯვენე სოციალდემოკრატების წინააღმდეგ, რადგან უკანასკნელმა მათმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანში ამოიღო განსაკუთრებით მემარცხენე სოციალისტები. ამ კამპანიამ უნდა დაუშტოციოს პროლეტარიატს, რომ სოციალისტები იმპერიალისტების აგენტებია, რომ ისინი ფაშისტებია, რომ ისინი შეიარაღების და ომის მომხრენი არიან და კაპიტალიზმს იცავენ.

ეს სასაცილო და ბრიყვული კამპანიაა, რომელიც ვაკოტრდა უკანასკნელ I აგვისტოს, მაგრამ მაინც მოიპოვებთან გულუბრყვილონი, რომლებიც მას სერიოზულათ მიიჩნევენ ან ხელსუფლებიან.

ამ მიზნის მასაღწევათ კომუნისტები არავითარ საშუალებას, არავითარ ტყუილს, არავითარ სიყალბეს არ ერიდებიან, როგორც ამ დღეებში არ მოერიდნენ ისინი ერთი ილიუსტრაციის გამოქვეყნებას, რომელსაც უნდა ემყდნებოდა ჩან-კაი-შეკის აგენტების მიერ ჩადენილი საშინელებანი. ხოლო ეს ილიუსტრაცია ნამდვილად ესებოდა... 1903 წლის ამბებს.

როცა ბარბიუსი ხელს უწყობს სოციალისტების წინააღმდეგ ასეთ კამპანიას, მას არ აქვს არაფერი საერთო, სრულიად არაფერი «მძლავრ ინტელექტუალურ მოძრაობის მეთაურთან, რომელიც მოსდევ

ბია საფრანგეთს და ევროპას») და რომელსაც, უნდა აღვიაროთ, ჩვენ არ ვიცნობთ; ან იქნებ ამ მოძრაობის მთავარი გამოსახულებაა ბერლინის ეგრეთ წოდებული ანტიშაფისტური კონგრესი? ის ხომ სწორედ იმ ხანებში შეიკრიბა, როცა ოდესას ესტუმრა ბალბო, ხოლო რომს რუსების ჰაერობლანი, რომლის პილოტებმა დღემდე გაუგონარი ქება-დიდება შეასხეს მუსოლინს. ან იქნებ კიდევ ახალი ანტიმილიტარისტული კონგრესი, რომელიც ბერლინისა არ იყოს, ფართული ყუმბარაა, მესამე ინტერნაციონალის მიერ სოციალისტების წინააღმდეგ გადმოსროლილი.

ბარბიუსმა მოისურვა ბალკანეთში ტუსალების დაცვა ჯალათების წინააღმდეგ და ამან ჩვენ მოგვიბოძლა. მაგრამ როცა საქართველოში ის ბრალს სდებს ტუსალებს და იცავს ჯალათებს, ის ივიწყებს და უარყოფს თავის წინანდელ საქციელს და ჩვენ ამის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ, ხოლო ლეონ ნიკოლი მას იცავს მაშინაც კი, როცა ბოლშევიკების მიერ ეს გაუსამართლებლათ დახოცილი ტუსალები სოციალისტები იან.

ბარბიუსმა ბრალი დასდო ჩვენს ქართველ ამხანაგებს, სოციალისტებს, რომელნიც მისი თქმით, დადგენ ნაციონალისტურ პლატფორმაზე ომის წინ და რომელთაც 1914-ში «ტაში დაუკრეს იმპერიალისტურ ომს».

აი პირველი ფაქტი, რომელზედაც მე მიუთითებ. ნამდვილათ ამ ქართველ სოციალისტებში. რომელნიც, თუ ბარბიუსს დაუჯერებთ, «დაშორდნენ კლასთა ბრძოლის პრინციპს», ოთხ წინამძღოლს, მეორე დუმიის დეპუტატებს, ჯაფარიძეს, წერეთელს, ლომთათიძეს და გ. მახარაძეს მიესაჯა სამუდამო გადასახლება. ორი ამთავანი მოკვდა ციხეში, ხოლო ორი განთავისუფლებულ იქნა 1917 წლ. თებერვლის რევოლუციის მიერ.

ხოლო, როცა მათ თავი მსხვერპლათ მიჰქონდათ, სად იყო და რას აკეთებდა ბარბიუსი, რომელიც დღეს მათ შეურაცყოფას აყენებს? არ ვიცი, მაგრამ თუ ეს შეურაცყოფა არ აღეგულებს ლეონ ნიკოლს, მე ის მაშფოთებს და ვესვრი ბარბიუსს ჩემს აღშფოთებას.

კეთილ ინებოს ლეონ ნიკოლმა და აუხსნას თავის მკითხველებს ეს პირველი ფაქტი.

აი მეორე, კიდევ უფრო აღმაშფოთებელი: ჩვენმა ამხანაგებმა ტაში დაუკრეს იმპერიალისტურ ომს, ამბობს ბარბიუსი. ჩვენ კი, ჩვენ ვინც 1914 წელშიც ვიყავით სოციალისტები და ვერავინ დაგვწამებდა ვერც მილიტარისტობას, ვერც ნაციონალისტობას, კარგათ გვახსოვს, თუ რა სიამიყვ განვიცადეთ, როცა მეოთხე დუმაში ქართველმა სოციალისტმა ჩხეიძემ წარმოსთქვა ძლიერი საბრალდებულო სიტყვა მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მან მიაკუთვნა პასუხისმგებლობა ომისთვის.

კეთილ ინებოს ლეონ ნიკოლმა და აუხსნას ეს ფაქტიც თავის მკითხველებს.

\*) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ეკუთვნის ბ. ნიკოლს.

და ბოლოს, მე ავლნიშნე მესამე, ყველაზე აღმაშფოთებელი.

ბარბიუსმა დასწერა თუ არა შემდეგი? «დიდი განგაში ასტენეს დატუსაღებულ მძევლების დახვრეტის გამო: ჯუღელის, ჩხიკვიშვილის, ხომერიკის გამო, მაგრამ სიტყვამ «მძევალმა» არ უნდა შეგვიყვანოს შეცდობაში. ეს ტუსაღები იყვნენ ყველანი მკვლელები და ჯალათები, რომელთაც უთვალავი დანაშაულობა აწვიათ სინდისზე».

ვის მიმართა ბარბიუსმა ცნობებისათვის ამ დასკვნის გასაკეთებლათ? იმათ, ვინც დაახვრეტია ისინი. მშვენიერი მეთოდია. ჩვენ კი აი რა ვიცით.

ამ სამ მძევალს—მკვლელებს მძევლათ არ აიყვანენ ხოლმე— ჰქონდათ სანკრძლივი რეკოლიუციონური წახსული, ძველი რეჟიმის დროს მათ გადაიტანეს ციხეც და გადასახლებაც თავიანთი რწმენისთვის. ორი მათგანი გაანთავისუფლა ციხიბრიდგან 1917 წლის რევოლუციამ. მათი ამხანაგების რწმუნებით, 1924 წელს, აჯანყების დროს, რომლის გამო ისინი დახვრიტეს, უკვე გადასახლებულები იყვნენ რუსეთში, სუხდალის ციხეში—ამ ფაქტის შესახებაც შვეიცარიის სოციალისტურმა პარტიამ პროტესტი განაცხადა— საიდანაც ჯალათებმა ჩამოიყვანეს საქართველოში დასახვრეტათ.

აუხსნას ლეონ ნიკოლმა თავის მკითხველებს, რატომ იცავს კომუნისტ ბარბიუსს, რომელიც ასკეთ ადამიანებს «მკვლელებათ» ნათლავს და აუხინას მათ აგრეთვე, თუ რატომ არ მაქვს მე აღშფოთების უფლება.

როცა ის ამას იზამს, მაშინ ნებას მივცემ, ხელშეუშლელათ დამასხას თავს ლაფი.

მაგრამ ნუ აყაღებებს საკითხს.

ე.—პოლ ვრამბტ.

რედაქციისაგან. პოლემიკა განაწამებ საქართველო კეთილშობილ დამცველსა და მაგინებელს შორის ჯერაც არ დასრულებულა შვეიცარიის პრესაში. ზემომოყვანილ წერილის შემდეგ ბ. ნიკოლის გაზეთში დაიბეჭდა თვით ბავბიუსის ვითომდა პასუხი გრაბერის წერილზე, რომელიც, ალბათ, თავის მხრივ უპასუხეთ არ დარჩება.

**უცხოეთის მიმოსხილვა.**

მაკდონალდი და ჰუფერსი.

მაკდონალდი და ჰუფერსი! პირველი სტუმრად მეორესთან, მიღებული დაფით და ნაღარით, ჩამომხტარი «თეთრ სახლში», პრეზიდენტ ლინკოლნის ისტორიულ ოთახებში განცხრობით დაბინავებული, ქალიშვილითურთ. ერთი ბელადი «ამომავალ» კლასისა, მეორე—«ჩამავალი» კლასისა! არავინაა დღეს უფრო ცნობილი სოციალისტი, ვინც უდიდეს იმპერიის სათავეშია, როგორც მაკდონალდი; არავინაა მსოფლიოს უძლიერეს ბურჟუაზიის ისეთი მესაქე, როგორც ჰუფერსია. რაა მათ შორის საერთო? თითქო არაფერი, «ბარბიუსის» იქით და აქეთ, დაუზოგველნი

მიმტვენი ერთმანეთზე. მაგრამ გადაიკითხეთ მათ მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია, დააკვირდით მის ფორმას, შინაარსს, კილოს და დარწმუნდებით, რომ უფრო მეგობრული და ინტიმური მუსაიფი, როგორც მათ ჰქონებიათ, ერთი კვირის გასწვრივ, მეორე იშვიათია ისტორიაში. რას მოასწავებს ეს? არის ისეთი მომენტები, რომელიც გავალებს, იმპერატურლათ გავალებს ამდღეც პარტიულ, კლასობრივ და დოგმატურზე, განასახიერო, გააპიროვნო შენში მთელი ერი, სახელმწიფო.

მაკდონალდსა და ჰუფერსის წინ გაცილებით უფრო დიდი ამოცანა იდგა, ვინემ სახლვო თანასწორობა, რომლის გულისსათვის თითქო შეხვდენ ერთმანეთს. საქირო იყო ბოლო მოვლოთ იმ საშიშ უნდობლობისა და ჩუმი მტრობისათვის, რომელიც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო საეჭვოთ ხდიდა ორ ანგლო-საქსონურ დიდი ერის კეთილგანწყობილებას. გამოქვეყნებული დეკლარაცია კატეგორიულათ აცხადებს, რომ ინგლისი და ამერიკა დავიწყებას აძლევენ უსიამოვნო ეპიზოდებს მათი წარსულიდან და ამიერიდან ომი მათ შორის სრულიად განდევნილია და გამოორცხული.

ამ დეკლარაციას კელოგის პაქტი დაუდგეს მათ საფუძვლად, მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელს ხელს აწერენ სხვა სახელმწიფოებიც, ცხადია, მათ ლაპარაკი ჰქონდათ იმაზეც, თუ როგორ შეიძლება საყოვლათო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. ჯერ ერთი, შეთანხმება სახლვო ძალთა რაოდენობაზე არ შეიძლებაოდა საბოლოოთ ჩაეთვალათ მათ, სანამ იმავე არ მიადწევენ იაპონია-საფრანგეთ-იტალიასთან, და ამიტომ იწვევენ კონფერენციას მომავალ იანვრისთვის. შემდეგ, თუ ეს საქმე დაგვირგვინდა, ახალ, უფრო საიმედო ვაზზედ ჩადგება თვით საყოველთაო განიარაღების პრობლემა ყენევაში.

აქედან ერთი ლოლიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება. და ამას აქვს ჩვეთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა: მაკდონალდს და ჰუფერსს უეჭველათ ჰქონდათ ბაასი საბუთოთა კავშირზეც! მართალია, დეკლარაცია სდუმს ამაზე, მაკდონალდიც, მიუხედავათ მის მსოფლმხედველობისა, საქმით საიდუმლო დიპლომატიას ატარებს, რასაც ხშირათ «მისტიციზმად» ნათლავენ! ორივე სახელმწიფო მოღვაწემ მოსკოვის უარესათ არ იციან გეოგრაფია და დემოგრაფია, და ზავი, როცა მოსკოვი ომს ქადაგებს, უნაყოფო ოცნებაა. რა სთქვებს მათ, როგორ მიუდგენ საკითხს, ადვილი გამოსაცნობი არაა, მაგრამ ჰენდერსონ-დოვგალოვსკის ოქმი მათ არ გამოეპარებოდათ, უდაოა.

მომავალ თვეში თემთა პალატა გაიხსნება, ამას მოჰყვება ახსნა-განმარტებანი როგორც მაკდონალდის მოგზაურობაზე, ისე ჰენდერსონის ნაბიჯზე, დავიცადოთ და გვექნება მეტი ელემენტები ამოცანის უკეთ გამოსაცნობათ. მოსკოვი კარიკატურებით და ფრაზეოლოგიით ცდილობს მაკდონალდის გამავეებას: პროლეტარიატის მოსისხლე მტერს ჰუფერსს შეუთანხმდა; თავის გულში კი ნატრობს და ოცნებობს ერთ ნეკს მაინც გამომიწვედეს «მოსისხლე მტერი»!

შტრეჟემანი.

გერმანიის საგარეო მინისტრის შტრეჟემანის უეცრათ გარდაცვლამ თანაგრძობის და სიმპატიის მთელი ზვირთები გამოიწვია საყოველთაოთ. დეპე-შები, წერილები მსოფლიოს ყველა კუთხიდან აშკა-რათ მოწმობდა, რომ გაჰქრა ერთი უდიდესი თანამე-დროვე მოღვაწე ზავისა და ერთა დაახლოების საქმე-ში. ზოგი შიშსაც კი გამოთქვამდა, რომ უშტრე-ჟემანთ ევროპა ისევ შავი ღრუბლებით იმო-სებოა.

რასაკვირველია, ეს გადაჭარბებულია, შტრეჟე-მანმა ისევ სიცოცხლეში მოასწრო უდიდეს კითხვე-ბის გადაჭრაში მონაწილეობა, მათ შორის რეპარა-ცია და ევაკუაცია, იონგის გეგმის მიღების შემდეგ, მოწესრიგებულია. დაუჯერებელია გერმანიის ნაცი-ონალისტების პლებისციტმა რამე შესცვალოს ამ მხრივ, ასე რომ ვინც არ უნდა იქნეს შტრეჟემანის მემკვიდრე, იძულებული იქნება მისი პოლიტიკა გა-ნავროს.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ შტრეჟემანი სიკვდილის დღეს რაიხსტაგში იყო და წარმოსთქვა უკანასკნელი სიტ-ყვა, რათა დაეთანხმებია თავისი ფრაქცია კოალიცი-აში დარჩენილიყო. და გაიმარჯვა კიდევ!

სოციალდემოკრატებთან კოალიცია—ი ნამდვი-ლი ღერძი შტრეჟემანის საგარეო პოლიტიკისა, ამით აისხნება ობიექტივურათ ყველა მისი გამარჯვებანი. გარნა მას ჰქონდა თავისი სუბიექტივური ღირსება-ნიც: ომის დროს იმპერიალისტი, ზავის პირველ წლებში მონარქისტი-რევანშისტი, ის ხდება საფრან-გეთთან მორიგება-დაახლოების მოციქული, რესპუ-ბლიკის და ვაიმარის კონსტიტუციის ერთგული. ამ პიროვნულ თვითგარდაქმნაში მას მიუძღვის, უეჭვე-ლათ, დიდი დამსახურება, ერთგვარი გმირობაც, მა-გრამ თვით პროგრამა, იდეები მისი არ იყო, მან ეს შეითვისა სოციალდემოკრატისაგან.

ნუ დაივიწყებთ, ვერსალის ზავს მიუღერმა, მა-შინდელმა და დღევანდელმა კანცლერმა მოაწერა ხელი, სოციალდემოკრატებმა აიღო თავის თავზე ეს პასუხისმგებლობა, ეს ოდიუმი და იმ დღიდანვე ჩაუ-ყარა საძირკველი იმ საგარეო პოლიტიკას, რომლის საუკეთესო განმანათლებელი განსვენებული შტრეჟემანი იყო. საზოგადოთ უდაოთ ითვლება, გერმანიას საგარეო პოლიტიკა არ უფარგაო... ეს არის უდიდესი შეცდომა, და ამის მკერმეტყველი საბუ-თია მისი დიპლომატიის უკანასკნელი გამარჯვებანი, რის გულისათვის დასტირთან გაიმარჯვებანი, რის სიკვდილს. ბრმა უნდა იყოს კაცი, არ დაინახოს, როგორის სისწრაფით ხდება გერმანიის ეკონომიური აღორძინება, მისი პოლიტიკურ პრესტიჟის დამკვი-დრება საერთაშორისო კონცერტში.

ნ ა დ ი თ ხ ა ნ ი.

ამ ორიოდვე წლის წინ, როცა ნადირხანი, ტანა-დი, ევროპიელი გამომეტყველების, ინგლისურათ ემუხაიფებოდა თავის კრლეგებს პარიზის დიპლო-მატიურ კორპუსში, არავის ჰქონდა, წარმოდგე-

ნილი მისი როლი ავღანისტანში. მხოლოდ მასლო-ბლებმა თუ იცოდენ, რომ ის დამოუკიდებლობის მოპოების დროსაც დიდ როლს თამაშობდა, იყო ავღანისტანის ჯარების სარდალი და პარიზში კი მა-რშალის სახელს ატარებდა ელჩის სახელის შემდეგ. მაგრამ უფრო გვიან მას არ სწყალობდა მაშინდელი ემირი ამანულა, დასტოვა ელჩობა და ნიცაში დაბი-ნავდა. როცა ავღანისტანში აჯანყებამ იფეთქა რეფა-რმატორ ემირის წინააღმდეგ, განთებმა გვამცნეს ნადირხანი თავის ქვეყანაში წავიდაო. ჩქარა ისიც გა-ვიგუთ, რომ ის ებრძვის უკვე ახალ ემირს ჰაბიბუ-ლასო, რომელიც წინათ ცნობილი იყო როგორც ყაჩაღი ბაჩე საკაო, მეთულუნეს შვილი. მას აქეთ ბევ-რჯერ მოვიდა ცნობა, ნადირხანი გაიქცა, დაატყვევეს, დამარცხდა, მოკლესო... და ესლა კი მისი ძღვევამო-სილი ჯარი ქაბულში შედის. ევროპაში კითხულო-ბენ, ვინ იქნება ემირიო, მოიწვევს თუ არა ნადირხა-ნი გაქვეულ ამანულას იტალიიდანო. ტახტიდან ჩამოგდებულ ამანულას საეჭვოა რამე პრესტიჟი შე-რჩენილდეს, ნადირხანი ალბათ მოიწვევს ხალხის მე-თაშურებს და მათ გადაწყვეტილებას დაემორჩილება, რადგან იცის ალბათ წინდაწინ, რომ არჩვანი მასზე ჩერდება!

რ ა ს ს წ მ რ ე ნ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი მ ბ ზ ი

ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს პანაიტ ისტრა-ტის: იგი შთამომავლობით რუმინელია, სწერს ფრა-ნგულად და მისმა რომანებმა საყოველთაო ყურად-ღება მიიპყრეს. მას მეორე გორკად სთვლიდენ. რო-გორც ბარბიუსი, ისიც კომუნისტებს მიემხრო, აღ-ფრთოვანებით შეაქებდა მათ და ოკტომბრის რევო-ლუციას უდიდეს მოვლენად სთვლიდა. დარწმუნე-ბული იყო, რომ კომუნისტებმა ახალი ხანა დაიწყეს ისტორიაში—სოციალური სამართლიანობა დაამყა-რეს თავის სამფლობელოში და მით საძირკველი ჩა-უგდეს მთელი ძველიერების განახლებას. ბოლშევი-ზმით გატაცებული ისტრატე გაემგზავრა რუსეთში და დარჩა იქ ორ წელზე მეტს. იქიდან გამოგზავნილ წერილებში სულ საბჭოთა მართველების და მათი წესწყობილების ქებაში იყო. იმოგზაურა საქართვე-ლოშიც და არც ქართველ კომუნისტებისთვის დაუ-კლია ხოტბა...

მაგრამ რუსეთში ცხოვრების დროს ნელნელა გაეცნო სინამდვილეს, აღარ ენდო თვითონ ბოლ-შევიკების შეთხზულ ცნობებს, აღარც გარეგნულ მოკაზმულობას, ჩაიხედა მოვლენების გულში, საკუ-თარის თვალით და ყურით შეამოწმა ყველაფერი და გასინჯა და ესლახან საბჭოთა სამოთხიდან დაბრუ-ნებული, ბრანითა და აღმფოთებით იხსენიებს კო-მუნისტებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მთელს მათ მოღვაწეობას. უკვე სამი წიგნი იბეჭდება მისი ფრანგულ ენაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ და ჟურ-ნალმა «Nouv. rev. iran.» გამოაქვეყნა ამ ჟამად ერთი თავი ამ ნაწერების.

«მე არ წავსულვარ რუსეთში საცხოვრებლად,

სწერს ისტორიკოსი ახლა: რათა აღმოგვიჩინა, რომ «პროლეტარულ სამშობლოში» მუშების ქონებრივი არსებობა უკეთესია ვიდრე ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშებისა, არა, მე მზად ვიყავი თვალემა დამეხუჭა და არ დამენახა ამ კეთილდღეობის უქონლობა. მაგრამ მტკიცედ ვიყავი დაჯერებული, რომ «პროლეტარიატის დიქტატურა» ყველაფერს განახორციელებდა, რაც შეეხება ელემენტარულ სამართლიანობას: თუ ძნელია კომფორტის შექმნა, სრულებით არა უშლით რა მათ ხელს, იყენენ სამართლიანები და პატიოსნები.

ხოლო ვაი, რომ საკვირველი რამ აღმოჩნდა!.. მეტსაც ვიტყვი. ნეტავი არა-ადამიანური ნუგეში მაინც მეპოვნა იმის ფიქრით, რომ «პროლეტარული» უზნებობისა და უსამართლობისაგან მარტო მტრების კლასი იტანჯება, ან რომ შემძლებოდა, ჩემი თავისთვის მეთქვა, რომ ყველაფერი ეს სახიზრობა სადღაც შორეულ ციმბირში ხდება. არა. სწორედ მუშათა კლასია, რომ ყველაზე მეტად არის დაჩაგრული საბჭოთა სოც. რესპ. კავშირში. რუსაკოვის საქმე მოხდა სატახტო ქალაქში (რუსაკოვს ძველს მუშას და რევოლუციონერს ბინის წასართმევად ცილი დასწამეს და ციხეში ჩააგდეს) და მსგავსი ამბავი ათასობით ხდება მთელი კავშირის სივრცეზე...

«ყოველ ბურჟუაზულ ქვეყანაში მუშა რომ მოითხოვს, პური მოიპოვოს და მშვიდობიანად იყოს, ეს არავითარ ცუდ შედეგს არ იწვევს. ასე არაა «პროლეტარიატის სამშობლოში». ყოვლის უწინარეს მშვიდობიანობა არავისთვის არსებობს რუსეთში, თვით ბიუროკრატისათვის, რომელიც დღე და ღამ სულ იმის ფიქრშია, ერთი მილიმეტრით ხომ არ გადავცდი შემთხვევით «ხაზს», როცა მიძინავს ან ცხვირს რომ ვიწმენდიო. რაც შეეხება პურს, ეს დიდათ დიდი საქმეა. პური მთელი სიცოცხლეა, თუმცა სიცოცხლე ჯოჯოხეთია მხოლოდ. როცა ფიქრისა და მოძრაობის უფლება მარტოდმოდენ მოგონებაა, პურის უზრუნველყოფა უდიდესი რამაა. ყველაფერია. დიქტატორმა ეს იცის. ჩაპკოვს ღრმად ხელს მუცელში ადამიანს და შეაგნებინებს: «სიკვდილი არაფერია, უარესია სიმშობილი და უთავშესაფართო ყოფნა. რადგან მე უნდა ვიმთავრობო. მითხარი შენი ფიქრი და იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობ, გექნება პური და ბინა, ან არ გექნება.»

«სოციალიზმის არაფერია საბჭოთა სამეფოში— განაგრძობს ისტორიკოსი: იქაა მხოლოდ ტერორი, რომელსაც უნდა ადამიანის სიცოცხლე გამოიყენოს როგორც მასალა სოციალურ ომისთვის და უკანასკნელი კი ემსახურება ახალი და მახინჯი კასტის გამარჯვებას, რომელიც გაკვირებულია ფორდისმით, ამერიკაში მით, კოტის პარფიუმერით, პარიზის მოდით. ეს კასტა მკაცრია, ომის მოტრფილად, სწყუჟრია ბატონობა და უნდა თავს დაესხას ჩინეთს, რომელიც ცთილობს მეფეების დადგმულ უღლიდან განთავისუფლებას. კასტა უვიცია, ტლანქი, გარყვნილი და უმეტესად შესდგება იმ ახალგაზდობისაგან, რომელიც მოველინა ქვეყანას ამ საუკუნის დასაწყისში. მან არა იცის რა და არც უნდა იცოდეს წინანდელი რუსული იდეალიზმის შესახებ, რომელიც

დღეს მხოლოდ მუხეუმებს ამშვენებს. მან იცის მარტო მთავრობის ბრძანება, «ინტერნაციონალის» მოსმენა ფეხზე დგომით, სიტყვების გადმოსროლა აზრების ნაცვლად, გვეუ საბუთების ალაგას, ცენზურა კრიტიკის თავიდან ასაცილებლად, სრული სიცალიერე თავის ბატონობის დასამყვიდრებლად...»

ასე სასტიკად, დაუნდობლად ახასიათებს ისტორიკოსი ბოლშევიკების მთელ წყობილებას; მუშაობას, პოლიტიკას. ბოლშევიკები მას ერთ დროს თავის საუკეთესო მეგობრად სველიდნენ, დღეს უკვე ჯაშუშად გამოაცხადეს იმიტომ, რომ სრული სიმართლე სთქვა. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

### ს ა ბ ზ ო ტ ა ს ა ქ ა რ თ ე ლ ო შ ი

აპარატის წმენდა.

ბოროტება და სიყალბე სად არ ხდება, მაგრამ ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი სახელმწიფო, სადაც აპარატის წმენდა ყოველ საათში თავსამტვრევე საკითხად იდგეს. რაკი ერთხელ შეამჩნევენ სიყალბეს, ჯერ მის სათავეს მოსძებნიან და მერე მისი ლიკვიდაციაც ადვილი ხდება. საბჭოს ქვეყანა კი ამ მხრით გასაოცარი მოვლენაა. იქ უფლება განძარცვულია სუვერენობისა და თავისუფლებიდან, ინტერესი ერის თუ სახელმწიფოსი მიჩნეულია ზედმეტ და გაუგებარ მცნებად. ხოლო წნობრივი და სულიერი ღირებულების საზომი საერთოდ არ არსებობს, რადგან არ არსებობს თვით ადამიანის პიროვნების ფასის ცოდნა; ადამიანი აღიარებულია რაღაც მოსიარულე მანქანად, ან, თუ გნებავთ, ჭადრაკის ერთეულად, რომელსაც ჩეკისტის ხელი თავის გემოზე ათამაშებს, ათამაშებს და აბოროტებს კიდევ.

დივიჯეროთ რომ საბჭოთა ხაზინებს ნამდვილად სურთ აპარატის გაწმენდა, მაგრამ ვერას ხდებიან, რადგან პირველათ თვითონ უნდა განიწმიდონ და მერე ბოლშევიკურ წოდებას იმ კეთილი სურვილების გამომცხობი ვინ ეყოლება? საბჭოთა ლექსიკონში «უცხო ელემენტი» მიუცილებელი ტერმინია, მაგრამ პარტიის წმენდამ დაამტკიცა, რომ ამ «უცხო ელემენტის» ქარხანა კომპარტიაა, რადგან, უმეტეს ნაწილად, ბოროტმოქმედი იგივე პარტიული კაცია ან პარტიასთან ამოძუებას დაჩვეული, და ბაცაცის ინსტიტუტით შეპყრობილი უბრალო კაცუნა, რომელიც საბჭოთა ნივთზე სოკოსავით მარობს. მართლაც, თუ მთელი ჩვეყნის ზვარაკად მიტანა ადვილია საქმეა კომპარტიისათვის, რაღა გასაოცარია რომ იმ პარტიის ცალკე წევრმა ხალხის შრომიდან ამოქაჩული ოქროს მდინარეს მსუნავათ დაეწაფოს. განა შვილი დამნაშავეა რომ შექმნილია სახისამებრ მამისა?

საქმე მარტო იმაში როდია, რომ საბჭოთა აპარატს მუწუკები აზის, არამედ იმაში, რომ საბჭოთა კეთიროვანება თანდაყოლილია და ორიოდვე ჩირქიანი მუწუკის მოგლეჯით არ განიკურნება. თან ამ ცოცხალი მუწუკის მოცილება ძნელი ხდება: კარებიდან აგდებენ, ფანჯრიდან შემოდის, ტაციობის ახალი ენერგიით აღსავსე, ხშირად ქედმაღალი და წარმატე-

ბული. რატომ არ აქვს ამდენ წმინდას მცირედი ეფექტი მინც? მიზეზი ამისა არ არის შემთხვევითი ხასიათის. ის განუყრელია მთელი არსებული სისტემიდან, თან მრავალი და მრავალმხრე საინტერესოა.

როცა სათავეში მოსისხნე არსებობით დასახლებული და დამყავებული გუბე სდგას, იქ ატმოსფეროც უსუფთაო უნდა იყოს. საბჭოთა პოლიტიკური ცრუმორწმუნე იმ დამპალ გუბეს ობსა ხდის და ვერ ამჩნევს, რომ მისი ხელობა დანადგების უფსკვრო კასრში საცრით წყლის სხმასა ჰგავს. ეს მოწმობს, რომ კომპარტიის მოქციანების შესაძლებლობა გამორიცხულია. მაგრამ დღეს არა ერთი და ორი კომუნისტი სტოვებს განზე თავის ფატალურ იდეოლოგიას და იაფი ილიუზიების ტყვეობიდან ქურდულათ მიიპარება, რადგან გრძნობს, რომ საბჭოთა პაერს ელექტრონი აკლია. მაშ საბჭოთა თავზე ჯერ მესი უნდა გასკდეს. რომ იმ მესიდან ნაშობ ელექტრონმა საბჭოთა დამყავებული პაერი გასჭირას და ის შავი გუბე გადარეცხს ახალი ცხოვრების დინამიურმა ტაულამ.

სადაც მამდარი და მდიდარი მთავრობა პირველი მტაცებელია. იქ რომ სხვამაც მოიპაროს, არაა გასაკვირი. ასე რომ რაც ხდება დღეს საბჭოთა აპარატში, არსებული რეჟიმისათვის ბუნებრივია. არა ბუნებრივი და გასაოცარი ის იქნებოდა, რომ საბჭოთა აპარატში მოკალითებული ბუნებით ტლანქი და ხამი წითელი «ვიდეოტენეცი» არაფერს იპარავდეს. არის ისიც, რომ მოხელე დაბმულია პატიმარის ულუფაზე და მისი ბიუჯეტი, ათასნაირი გამოქვითვის შემდეგ, მხოლოდ ენუქას ანდერძის ღირებულებისაა. ის კანკალებს ხვალისდელი დღის შიშით და სიმშლიის აჩრდილის თვალებით იყურება. კომუნისტი-მოხელე ხედავს, რომ მისი ბატონობის დრო წარმავალია, ცდილობს ადრევე დასტენოს თავისი ხურჯინი. ხშირად გაფლანგვა არის მოსალოდნელი დათხოვისა და მამასადამე უკაპიტივისაგან თავის დაზღვევის ცდა. ხშირად ის არაპირდაპირი შედეგია იმ ფრიად საგულისხმიერო ფაქტის, რომ ეროვნული იდეის იქით ჩვენში სახელმწიფოს იდეა გაკოტრდა, მეორეს უპირველად მოაკლდა იდეური საუნჯე, მოსცილდა შარავანდედი; თან ნდობა და მორიდებაც გაქრა, კაცი კაცისთვის მგელია. კიდევ კარგი რომ ეს სენი სპეციფიური სენია წითელი კასტის, რომელიც ყოყორობს თავის პროლეტარული შთამომავლობით, გადაეჩვიოა შრომით თავის რჩენას და არღარა დარჩენია, თუ მრა გაფცქვითა და «გაიმასქნებით» თავის გატანა.

ერთი ჩაიხედეთ ჩვენი ქვეყნის რუხ სინამდვილეში და ნახავთ, რომ კერძო საკუთრებას ყველაზე მეტი ნატურალური ყინითა და თავგამოდებით თვითონ კომუნისტი ებლაუჭება. ასეთ კაცს რომ მოაგონო მისივე ოფიციალური იდეოლოგიიდან, რომ ყველაფერი ყველასია და ყველაფერი არავისი. საჭიროს გზა თუ ვერ დავასვერვინა, ჩეკის სარდაფში პატარა კუნჭულს მანც არ დავამადლის და თუ გამოდი, გეცოდინება, რომ შიირია ბატონისთვის ჭკუის სწავლება. ყოველივე ამის გარდა, ძალაშია კიდევ მიბაძვის პრინციპი, თან საქმეზე მიშვებულები ლეგალური

ხალხი წნეობრივად დაავადებულია, ხოლო ავანტი-ყოფს პრინციპიც ავანტიყოფი აქვს.

ძნებო იწვის...

რომელი ძნები? — კოლექტიური მეურნეობის, «ანეულის» სახელით რომ იყო ცნობილი, ს. დიდლილოში. ვინ დასწვა ან რატომ, ჯავრი იყარა თუ ეფექტისათვის ჰქნა ეს ვანდალური საქმე? დასწვა ისევე კომპარტიის წევრმა და პატარა წევრმა ქა არა, არამედ წარჩინებულმა პირმა, ძველმა სანდო კომუნისტმა. ამაზე ატყდა ვაი-უშველვებელი, შეირყა ჭაობი. დემავოგის მადა-აღძრული სასამართლო ტფილისიდან წამსვე დიდ-ლილოში გადაჩაქურდა, კლუბის დარბაზი ყურმოჭრული მონებით მოკირწყლა და იმ დამჯერი აუდიტორიის წინ სიცრუის რუმბს თავი მოუხსნა: გვებრძვიან სოციალისმის მტრებში. დანაშაულის გამოსარკვევად სასამართლომ მარჩიელის მეთოდს მიმართა და ის გარემოება, რომ მთავარი დამნაშავე, ვინმე სოლონაშვილი, კომუჯრედის მდივნის სავარძლიდან კოლმეურნეობის დასალუპავ ქსელს აბამდა, ახსნა იმით, რომ სოლონაშვილი 1911 წელში მამასახლისად ყოფილა და «მენდალი» ჰკიდებია.

მეორე დამნაშავე, გაბარაშვილი, საბჭოს თავმჯდომარედ თუ თავზე მჯდომარედ ბრძანდებოდა და მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ ჩაეშალა თავისი პარტიის ჩხირკედელაობითი აღმშენებლობა: «კოლექტიური მეურნეობა», რომლის სისტემაში კოლექტივი მხოლოდ მოჯამაგირეა და მთავრობის პურის შემსყიდველი კომისია მისი უზენაესი მბრძანებელი. რომ ე. წ. კოლექტიური მეურნეობა გამოგონილია კოლექტივის წევრთა მონური მდგომარეობის სტაბილიზაციის მოსახდენად და მთავრობის ჯიბის გასასქვლებლათ, ეს უკეთ ვის ეცოდინებოდა, თუ არა საბჭოს თავმჯდომარეს! და აი მასაც გამოჰყავს თავისი მამა კოლექტივიდან, თვითონაც განზეა და ებრძვის საბჭოთა წამოწყებას საბჭოსავე კედლის განეთით.

დანაშაულის ნამდვილი მოტივი არაა სამალავი არც ახალი და კერძობითი ხასიათის; საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი გამდიდრდენ და თავისი პირადი ქონება რომ კოლექტივიში არ გაეთქვიფათ, მიმართეს ყველა კომუნისტური გვამისათვის შეჩვეულ და საყვარელ ხერხს: გაპროლეტარების ქადაგება სხვისთვის, გამდიდრებების გზების ძიება თავისთვის. ასე ხდება საბჭოთა ცხოვრების ყველა კუნჭულში. ცხადია, მეტი სტრატეგიული ზიგზაგებით და მეტი ვერაგობით, ვიდრე ეს პატარა დიდ-ლილოში მოხდა. არც ერთი და არც მეორე დამნაშავე თეთრი შაშვი არაა და კომუნისტური ტრადიციისათვის არას დროს არ უღალატიათ; სცემდენ გლეხებს, ტარიელობდენ, დასაბეგრ ქონებას მალავდენ, იყენენ «ინტრიგანი, ლოთი და ღვარძლიანი», მაგრამ მუდამ დაუსჯელნი, რადგან ჯიბეში ედოთ მშვენიერი თილისმა: პარტიული ბილეთი.

ეს ამბავი სასაცილოცაა, რომ სავალალო არ იყოს. საბჭოთა მთავრობა თვითონ აქეზებდა თავის ხალხს: ძარცვით და დააგროვით უთვალავი ქონება.

მთაც დააგროვეს. — ესლა მთელი ეს ქონება ჩემს ბელელში შეიტანეთო, და სკანდალიც ამის შემდეგ ხდება, სადა ერთი რომ ვსთქვათ. ვანა ეს დონ-კისოტის ეპიზოდს არ ჩამოკვავს? დონ-კისოტმა ჯერ განთავისუფლა ავანაკები და მერე უბრძანა, ესლა მთავრობასთან გამოცხადდით და ჩემი რაინდობის ამბავი დაუკაკლეთო. შედეგი ამ ეპიზოდის ცნობილია.

რა განაჩინა საბჭოთა სასამართლომ? ერთს დახვრეტა მიუსაჯეს, მეორეს ციხე, რადგან მთავრობის ჯიბეს საკუთარი ჯიბე არჩევნიეს. ერთი სიტყვით მოხდა ის, რაც ავანაკებს მოსდით ნადავლის გაყოფის დროს. ძლიერმა ავანაკმა გაასამართლა პატარა ავანაკი—თავისი ურჩი ხელქვეითი, და ამით საქმე ამოიწურა მორიგ შემთხვევამდე.

ია.

### საქართველოს საკითხი

საქართველოს წარმომადგენელმა უნევეში ხარ. შავიშვილმა შემდეგი განცხადება გადასცა ლაფონტენს. იმ საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესის თავმჯდომარეს, რომელიც გაიხსნა ათინაში:

საერთაშორისო სამშვიდობო ბიუროს არა ერთხელ გამოუცხადებია თავისი თანაგრძნობა ქართველი ხალხის მიმართ. მშვიდობიანობის დამცველნი ყოველთვის სთვლიდენ თავის მოვალეობად, აქტივობა გამოეჩინათ და გავლენა მოეხდინათ დაჩაგრული ერების სასარგებლოთ. თქვენ უწყით ის სამიძიო მდომარეობა, რომელშიაც დღეს საქართველო იმყოფება: ქართველი ხალხი წამებულა; მის ტერიტორიას შეესია მოძალადეთა ჯარი წინააღმდეგ დადებულ ხელშეკრულებისა. ხალხი დევნილია; უცხოელ დიქტატორულ მთავრობის მეოხებით ინტელიგენცია, გლეხობი, მუშები ციხებშია ჩავადებული, შორეულ ადგილებში გადასახლებული, მრავალია დახვრეტილი და ბევრმა წამებას ვერ გაუძლო და თვით მოიკლა თავი. ვინც გადაურხა სიკვდილს, არა ნაკლებ უბედურია—ბოლშევიკების აგენტები მოსვენებას არ აძლევენ ემიგრანტებს და ყოველნაირად შხამავენ გარშემო ატმოსფერას.

უენევის კონგრესზე პაციფისტებმა საქვეყნოთ აღიარეს საქართველოს სუვერენული უფლება. ჩვენ ვითხოვთ, რომ ათინის კონგრესმაც განიმეოროს ეს პროტესტი. როცა უფლება დაჩაგრულია, უნდა გაისმას სამართლიანობის ხმა. შეუძლებელია, რომ კონგრესმა ელენთა ქვეყანაში არ ისმინოს მიჯაჭვული პრომეთეს კვნესა.

### საქველმოქმედ საღამო.

შაბათს, 12 ოქტომბერს, პარიზში, ყუფრუას განიერ დარბაზში გამართულ იქნა ჭლექიანთა დამხმარე კომიტეტის მიერ პირველი საღამო ამ სეზონში. პარიზის ქართველობამ კარგათ იცის, თუ რამდენათ სიმპატიურია ეს საოჯახო ინტიმური საღამოები. წასრულთან შედარებით უკანასკნელი საღამო განსაკუთრებით კონტა და მრავალ ფეროვანი იყო.

უნდა აღინიშნოს ის თავდადებული მუყაითობა, რომელსც იჩინენ კომიტეტის წევრები: ქ. ქ. ე. ახანაი (თავმჯდომარე), ი. ყორდანია, ს. ბაგრატიონ-მუხრანი (თავმჯდომარის ამხანაგები), ე. დეკანოზი (ხანინადარი) ბ. ბ. ან, ყორქოლიანი (მდივანი), დ. სხირტლაძე (კალონიის თავმჯდომარე), ვ. ლამბაშიძე და ქ. ხოჭოლავა.

სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ეს ფრიალ საქირთ საღამოები, რომლებიც იმართება ჩვენი დავითმყოფებულ თანამემამულეთა დასახმარებლად — მოეწყობა რეგულარულად დასახმარებლად ჩვენი ქართველობაც; რა თქმა უნდა, მეტის ყურადღებით მოეპყრობა ამ ფრიალ სასარგებლო საქმეს.

### საქართველოზე დამოუკ. დღესასწაული ხარბინში \*)

ხარბინში მცხოვრებ ქართველებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაული შეუერთეს ქართული სკოლის ახალი შენობის კურთხევას და გადაიხადეს ივლისის 7-ს. დღესასწაული დიდის ზეიმით იქნა გადახდილი და დაესწრო აუარებელი ხალხი, როგორც ქართველები ისე უცხოელები. ქართველთა კალონიის სახლში კონტად მორთულს დარბაზს ამშვენებდა საქართველოს და იმ ერების დროშები, რომელთაც იცენეს ჩვენი დამოუკიდებლობა. კედლები შემკული იყო ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების სურათებით. ჯერ აკურთხეს სკოლის ახალი შენობა. შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ხანინარავამ ახადა ფარდა ეროვნულ დროშებითა და ცოცხალ ყვავილებით მოკაზმულს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ყორდანიას სურათს. ხორბმ შეასრულა ეროვნული პიძინი. მშვენიერი მისაღება უთხრა ქართველ საზოგადოებას უკრაინელების წარმომადგენელმა სვიტმა. წაკითხულ იქნა რამდენიმე მოხსენება, სხვათა შორის დ. ბოლქვაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ საქართველოს დიდებული წარსული. ამა მოყვა ლექსების წაკითხვა და ქართული რომანსები, რომლებიც მშვენივრათ შეასრულა პიანინოზე ქ. უდილოვისამ. ბ. ახსაბაძემ იმღერა ქართული, რუსული და ფრანგული რომანსები, რომელიც საზოგადოებამ აღტაცებით მოისმინა. შემდეგ ხორბმ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. დასასრულ მოსმენილ იქნა მოლოცვის დეპეშები სხვა და სხვა ადგილებიდან და გაეგზავნა მისაღებების დეპეშა ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ყორდანიას.

### შემაღწილულემა.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის: ჩეხოსლოვაკიაში შეგრძობილი ივნისის, ივლისის და აგვისტოსი 395 ჩეხური კრონა.

\*) ცნობა დაგვიანებით მივიღეთ. რედ.

Redaction et Administration.  
M. J. GOBETCHIA  
7, rue de Ponthieu, 7. Paris.